ვერსია

№41 (1682) 1 — 7 ნოემბერი ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი 2023“ – ევროპული ბიზნესის წვდომა სამხრეთ კავკასიაზე, ცენტრალურ აზიასა და ჩინეთზე, საქართველოს გავლით

„საქართველო – ეს არის ადგილი ინვესტიციებისთვის!“

რიკოთის ახალი მაგისტრალური გზის 27 კმ-იანი მონაკვეთი გაიხსნა



ევროკავშირის ელჩი: „ეს მაგისტრალი აახლოებს საქართველოს ევროკავშირთან“

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

„აბსოლუტურად შეასრულეს „ოცნების“ დავალება“

რას ამბობს თაკო ჩარკვიანი დეკანოიძე-სამნიძის სკანდალურ განცხადებაზე

რა ქონებას ფლობს დეპუტატი ქალბატონი, რომელმაც ოპოზიციონერი კოლეგები ვინაობის დასახელების გარეშე ამხილა

ხათუნა სამნიძის ქონებრივი დეკლარაცია

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტრეფიკინგის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ტრეფიკინგის ბრალდებით, წარსულში ნასამართლევი, 1975 წელს დაბადებული ვ.ა. დააკავეს.

დანაშაული 12-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ადამიანებით ვაჭრობის სქემა შეიმუშავა და აღნიშნული სქემის სისრულეში მოყვანისა და შრომითი ექსპლუატაციის გაწევის მიზნით, მეუღლეს, ფსიქოლოგიური ზეწოლითა და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით, ქალაქ ბათუმში, მოწყალების შეგროვებას აიძულებდა.

ასევე, გამოძიებით დადგენილია, რომ დაკავებულმა, დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, შშმ პირი თბილისიდან ქუთაისში მოტყუებით წაიყვანა, რომელსაც სხვადასხვა ქუჩასა და საავტომობილო გზებზე მოწყალების შეგროვებას აიძულებდა.

დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ფულს კი, სრულად ისაკუთრებდა.

იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულები ბრალდებულის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარს იტყოდნენ, მათ ფიზიკურად უსწორდებოდა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე პრიმა მუხლის მეორე და მესამე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ორი ან მეტი პირის მიმართ ადამიანით ვაჭრობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი ხუთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისსა და ბათუმში, ხუთი პირი დააკავეს.

„ქურდული სამყაროს წევრობის“, „ქურდული სამყაროს წევრისთვის მიმართვის“, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისა და ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ბრალდებით დაკავებულები არიან: 1985 წელს დაბადებული გ.ა., 1974 წელს დაბადებული მ.ა., 1988 წელს დაბადებული ნ.ა., 1976 წელს დაბადებული ჯ.ჯ. და უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1989 წელს დაბადებული რ.ჰ.

დანაშაულები 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ქალაქ ბათუმში, ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიაში წარმოიშვა ფინანსური დავა, რის შემდეგაც კომპანიაში მომუშავე, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდამჭერი პირის მეშვეობით, კრიმინალურ ავტორიტეტს, 1985 წელს დაბადებულ გ.ა.-ს მიმართა.

აღნიშნული დავის გადასაწყვეტად, ქალაქ ბათუმში, ე.წ. ქურდული გარჩევა მოაწყვეს, სადაც კრიმინალურმა ავტორიტეტმა კომპანიის ერთ-ერთ დამფუძნებელს განუცხადა, რომ დავაში ჩართული იყო „კანონიერი ქურდი“ და საკითხი „ქურდული სამყაროს“ წესების შესაბამისად უნდა გადაწყვეტილიყო. კომპანიის ერთ-ერთ მეწილეს ბრალდებულები ფიზიკურად გაუსწორდნენ და სიცოცხლის მოსპობის მუქარით, 75 000 აშშ დოლარის გადახდა დააკისრეს.

„ქურდული სამყაროს“ წევრი და „ქურდული სამყაროს“ მხარდამჭერი პირები დაზარალებულს სისტემატურად უკავშირდებოდნენ, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ და მისთვის დაკისრებული თანხის გადახდას მოითხოვდნენ.

პოლიციამ, ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდს“ უკავშირდებოდნენ.

გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 223-ე ტერცია მუხლის მე-2 ნაწილით, 223-ე კვარტა მუხლის პირველი ნაწილით და 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია, მედიასაშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, თითქოს, რუსეთის არმიის წევრი, ანა ლაკობა საქართველოში იმყოფება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ გადამოწმებული ინფორმაციის საფუძველზე განვმარტავთ, რომ უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქე GANNA ILYASOVA, რომელიც საზოგადოებისთვის ცნობილია სახელით – ანა ლაკობა საქართველოში შემოვიდა და საქართველო დატოვა 2018 წელს.

აღნიშნულმა მოქალაქემ, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას ისარგებლა უკრაინის რესპუბლიკის მიერ გაცემული უკრაინის მოქალაქის პასპორტით.

2018 წლის შემდეგ, პიროვნებას აღნიშნული პირადი მონაცემებით საქართველოს სახელმწიფო საზღვარი არ გადმოუკვეთავს.

აღნიშნული მოქალაქის მიერ საზღვრის კვეთის დროს არსებული სამგზავრო დოკუმენტის მიხედვით, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

ალექსანდრე დარახველიძემ, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, სახალხო დამცველს უმასპინძლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას სახალხო დამცველი, ლევან იოსელიანი მოადგილეებთან ერთად ეწვია. ომბუდსმენსა და მის თანმხლებ პირებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, შსს-ს აკადემიის რექტორთან, ზურაბ ზუბადალაშვილთან და აკადემიის სხვა წარმომადგენლებთან ერთად უმასპინძლა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესთან და აკადემიის ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრის შემდეგ, სახალხო დამცველი და მისი კოლეგები აკადემიის საქმიანობის შესახებ პრეზენტაციას დაესწრნენ და სწავლების ძირითად მიმართულებებს გაეცნენ.

შეხვედრის ფარგლებში, ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლებისთვის გაცნობითი ტური მოეწყო. სახალხო დამცველმა, მოადგილეებთან ერთად, აკადემიის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული სასწავლო აუდიტორიები, იმიტირებული სასამართლო დარბაზი, საგამოცდო და სიმულაციური სწავლების სივრცეები დაათვალიერა, ასევე, მოინახულა იმიტირებული სასაზღვრო გამტარი პუნქტი და ვირტუალური ტირი.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრის დასასრულს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, აკადემიის ხელმძღვანელმა პირებმა და ომბუდსმენმა, ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, აკადემიასა და სახალხო დამცველის აპარატს შორის მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელების მზაობა გამოთქვეს.

„აბსოლუტურად შეასრულეს „ოცნების“ დავალება“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რას ამბობს თაკო ჩარკვიანი დეკანოიძე-სამნიძის სკანდალურ განცხადებაზე

პარლამენტის ოპოზიციონერმა დეპუტატებმა, ხატია დეკანოიძემ და ხათუნა სამნიძემ განაცხადეს, რომ ზოგი ოპოზიციონერი ევროპელი პარტნიორებისგან ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების გადავადებას ითხოვს, თუმცა მათ კონკრეტული გვარები არ დაუსახელებიათ. „როგორც ჩანს, ოპოზიციის ნაწილი პარტნიორებთან მხოლოდ საკუთარი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე საუბრობს“... პარტნიორებმა მოგვმართეს რამდენიმე ადამიანს, რომ მათთვის გაუგებარია, რატომ არ არის ერთიანი გზავნილი, მაგალითად, ოპოზიციური ფლანგიდან, მივიღე გადაწყვეტილება, რომ უნდა ვისაუბროთ საჯაროდაც. არ ვიტყვი, რა არგუმენტებით საუბრობენ უცხოელ პარტნიორებთან ოპოზიციის ნაწილი რამდენიმე ოპოზიციური ფიგურა. როგორც ჩანს, ისინი საუბრობენ მხოლოდ საკუთარი პარტიული ინტერესებიდან, ეს არის პრობლემა, ჩემი აზრით. ჩემი საქმე არ არის სახელისა და გვარების დასახელება. არც ის არის სწორი, რომ პარტნიორებმა დაასახელონ სახელები და გვარები“, – ამბობს სამნიძე.

ხატია დეკანოიძე კი აცხადებს, რომ პარტნიორებს სამნიძესთან ერთად ესაუბრა და ადასტურებს კოლეგის ნათქვამს, თუმცა გვარებს არც ის ასახელებს.

ცნობისთვის: ევროკომისიის ყოველწლიური ანგარიში 8 ნოემბერს გამოქვეყნდება, საბოლოო გადაწყვეტილება კი 14-15 დეკემბერს, სამიტზე გამოცხადდება.

„ვერსია“ პარტია კანონი და სამართლის ლიდერს, დამოუკიდებელ დეპუტატ თაკო ჩარკვიანს ესაუბრა:

– უდიდესი მნიშვნელობა აქვს სტატუსის მიღებას იმიტომ, რომ საშიშია, რუსეთმა არ გამოიყენოს სათავისოდ პაუზა, რომელიც სტატუსის არმოცემის შემთხვევაში გაჩნდება, რუსეთი ყველაფერს სათავისოდ იყენებს და ამის მეშინია. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს უმნიშვნელოვანესი რამაა საქართველოს ისტორიაში, რომ როგორმე მივუახლოვდეთ და დროულად გავხდეთ ამ ოჯახის წევრი. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ უეჭველად უნდა მივიღოთ სტატუსი...

რაც შეეხება ამ განცხადებას, ძალიან უსიამოვნო და ცუდი იყო იმიტომ, რომ თუ შეგიმჩნევიათ, მე თუ რამე განცხადებას ვაკეთებ, აუცილებლად ვასახელებ... როგორ, შენ შემოაგდე და გვარსა და სახელს არ ამბობ?! სრულიად ოპოზიციურ სპექტრს სვრი. პრაქტიკულად, ხელისუფლებას რაც უნდოდა, ზუსტად ის თქვეს ანუ „ოცნება“ ამბობს, ოპოზიციას არ უნდაო და სტატუსის არმოცემის შემთხვევაში აქვთ სურვილი, გადააბრალონ ყველაფერი ოპოზიციას. ვის გულისხმობდნენ? – ადამიანები ვართ, ვინც თავგამეტებით ვიბრძვით, რომ ეს ამბავი მოხდეს. თუ არასაპარლამენტო ოპოზიციას გულისხმობდნენ, ესეც უნდა დაესახელებინათ. აი, იმ ბოკერიას, რომელსაც აქებენ ხოლმე პერიოდულად, განსაკუთრებით, დეკანოიძე... ზუსტად ბოკერიაა, ალბათ, ოფიციალურ განცხადებას მოვიშველიებ არასაპარლამენტო ოპოზიციიდან, ეს ცოლ-ქმარი, რომლებიც ამას ამბობენ ზუსტად, მათი აზრია გახმოვანებული. სხვებისგან არსად, მსგავსი არაფერი მომისმენია. თუ მათ მოუსმენიათ, ვინმე ერთი კონკრეტულისგან, იმის გვარი უნდა ეთქვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აბსოლუტურად შეასრულეს „ქართული ოცნების“ დავალება. ნიკა გვარამიას მიმართვა ვნახე, დეკანოიძეს და სამნიძეს უთხრა, გვარები დაიდოსო. დიახ, რა თქმა უნდა, სწორია. ან პრეტენზიები აღარ გქონდეს პოლიტიკაზე, ან ხელისუფლების დავალების შემსრულებელი ხარ, ან უნდა შევთანხმდეთ, რომ უტიფარი განცხადება იყო, ან გარიგებული...

– სამნიძემ და დეკანოიძემ განაცხადეს, რომ დასახელებულმა პარტნიორებმა ანუ ოფიციალურმა პირებმა უთხრეს ამის შესახებ...

– გამოვიდა და თქვა ევროკავშირის ელჩმა, მსგავსი საუბარი არავისთან მქონია ოპოზიციიდანო...

– შესაძლოა, ელჩს არა, მაგრამ სხვა პირებს ჰქონიათ ევროკავშირიდან...

– ეს ყველა კითხვა მოიხსნებოდა, თუკი დაასახელებდნენ. ან დაასახელე, ან საერთოდ ნუ იტყვი, ასე არ შეიძლება. მაგათ რაღაცები სწყინთ ხოლმე, ხშირად მითქვამს, პირდაპირ კი არ ვამბობ, ხატია დეკანოიძეს დიდი ხანია, ვამხელ.

– რაში?

– ერთხელ დავწერე, ამ ქალისგან პოლიციელის ქუდიც არ დარჩა-მეთქი, რადგან რაღაცნაირად მოძრაობდა... რომ წავიდა ნაციონალური მოძრაობიდან, ტალახი ასხა, არადა, მათი სიითაა გასული. ვინ იყო ამ პარტიის გარეშე? რომ მოუტრიალდა ვანო მერაბიშვილს, მერაბიშვილის წინააღმდეგ მე ვიყავი მაშინ, როცა ოპოზიციაში ვიყავი, იმ წლებში, მაშინ, როდესაც ხატია დეკანოიძე იყო მისი პოლიციის აკადემიის უფროსი... ანუ აქაც მივხვდი, რომ არაკეთილსინდისიერება შეუძლია. მერე მითხრეს, მერებიშვილს იცავო? ახლა რაც ვთქვი, ეს დაცვას ნიშნავს? მე ფაქტს აღვნიშნავ. მაშინ, რაც არ მოსწონდა, ეთქვა, თორემ მე რაც არ მომწონდა, ის კაცი იმაზე იჯდა 7 წელი სამარტოო საკანში და მოიხადა სასჯელი. ამიტომ, ეს არაკეთილსინდისიერებები რომ შევამჩნიე, მერე ვუთხარი, თუ ამბობ, რომ სისტემური დანაშაული იყო, შენ სისტემის ნაწილი იყავი და ჩუმად იყავი-მეთქი... ვერ ვიტან ასეთ თაღლითობას და როდესაც პოლიტიკაში თაღლითობ, ხალხისთვის მავნებლობ, არ შეიძლება ასე...

ახლა დაძრწიან ეგ და მელია, შეხვედრებს ატარებენ. ეგ პრობლემა და ჩვენი საქმე კი არ არის, მაგრამ ვისი სახელით ატარებ? რომელი პარტიის სახელით? ისევ გინდა, იმ პარტიის სახელით ატარო შეკრებები – ამას სასტიკად ცუდი საქციელი ჰქვია. ამიტომ, მე ამ ქალისგან ეს არ გამკვირვებია, უბრალოდ, გავბრაზდი, რადგან რომ გამოატლიკინებ ენას, ნუ სვრი ყველას! დიდი ბოდიში, მაგრამ ამის უფლებას უკვე არ მივცემთ! უნდა დაასახელონ, ვისზე საუბრობენ, მალავენ თუ რა ხდება?! დეკანოიძე ვინაა, პოლიციელია, მილიციელია, ძველი გოგოა, პოლიტიკოსია, ვინ არის? რას შვრება, რას მოძრაობს? ასე რომ ვლაპარაკობ, არ მოსწონთ ხოლმე და მე ხომ ნაკლებად მაინტერესებს, ვის რა მოსწონს და რა – არა, დაქცეული გვაქვს თავზე ქვეყანა.

– საინტერესოა, სანამ განცხადებას გააკეთებდნენ ეს ქალბატონები, ოპოზიციას თუ შეხვდნენ დახურულ კარს მიღმა და ეს თემა განიხილეს?

– არავითარი. არც ერთ შეკრებაზე მსგავსი სიტყველეი არ მომისმენია. ხომ იცით, აუცილებლად ვიტყოდი, მაგრამ არ ყოფილა. ჩემი თანდასწრებით, მსგავსი არავის უთქვამს. ნაციონალური მოძრაობის ლიდერებისგან მსგავსი არაფერი გამიგია და მათ თუ იციან რაღაც, თქვან! არ შეიძლება, მთელი ოპოზიციური სპექტრი ამოსვარო ტალახში. ერთი ერთში გაუგორეს ხელისუფლებას, უფრო ცუდი განცხადება არ შეიძლებოდა, გაეკეთებინათ. ამ ტიპის პრეტენზია მქონდა დეკანოიძესთან. ხათუნა სამნიძისგან მართლა არასდროს შემიმჩნევია, გულწრფელად გეტყვით, უფრო მოზომილად იცის ხოლმე და რატომ გააკეთა ეს განცხადება, არ მესმის. მოვუსმინე ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში და ვერც ხათუნასგან მივიღე პასუხი. დეკანოიძეს, მისი თვისება რაცაა, უტიფრად შეუძლია... დეკანოიძეზე პირდაპირ გეტყვით, რომ რაღაც მიზანი აქვს, აბსოლუტურად მელიას მაგვარი პოლიტიკოსია. სრულიად შემთხვევით აღზევებული, ისევ ნაციონალური მოძრაობისგან და ისევე გაქრება, როგორც კი ნაციონალური მოძრაობა, ასე ვთქვათ, „დაიქნევს“ ამ ორ ტიპს. ახლა არ იციან, რას მიეწებონ. რის ხარჯზე აკეთებენ ამას, არც კი ფიქრობენ.

– ანუ, არის საუბარი ნიკა მელიას პარტიიდან გარიცხვაზე?

– პირდაპირ გეტყვით, რომ გადახალისებულია პარტია, ვგულისხმობ ირაკლი ფავლენიშვილს, ლაშა ფარულავას, ვასო ურუშაძეს, თვითონ ლევან ხაბეიშვილს... ვიღაცას მოსწონს თუ არა, ლევანს სისხლთან კავშირს ხომ ვერ იტყვის. ხატია დეკანოიძის სალაპარაკო მისი წარსული არ არის, რადგან ლევან ხაბეიშვილზე მსგავსს ვერაფერს იტყვი იმ წლებზე და ეს ქალი კი იყო პირდაპირ სისტემის ნაწილი (თუ სისტემა არ მოსწონდა დეკანოიძეს), თვითონ იყო მისი ნაწილი და პოლიციის უმაღლესი თანამდებობა ეკავა. ამიტომ, ძალიან გაისხლა ენად და ცოტა ჩვენი ბრალი ხომ არ არის-მეთქი, ხანდახან ვფიქრობ.

არ გადავალ ჩემს აზრს, მგონია, რომ თუ პოლიტიკას სუფთა ხელებით გააკეთებ, სუფთა იქნება. ამ ტიპების მოგონილია, რომ პოლიტიკა ბინძურია. არაფერი ბინძური არ არის, ტურტლიანი ადამიანები აკეთებენ 30 წელია, თორემ არაფერი ბინძური არ არის. გააკეთონ წესიერად და ნახავენ, ბინძური იქნება, თუ არა.

როგორმე უნდა მივიღოთ ევროკავშირისგან სტატუსი. დიპლომატებთან რომ მაქვს ხოლმე შეხვედრა, სულ მაქვს საუბარი იმაზე, რომ ხალხი იმსახურებს ამას. იციან, რომ ქართული საზოგადოება თხემით ტერფამდე ლამობს თავის ბუნებრივ, ევროპულ ოჯახში დაბრუნებას. ამიტომ, მგონია, რომ ხალხის პატივისცემით, ამას მივიღებთ.

რიკოთის ახალი მაგისტრალური გზის 27 კმ-იანი მონაკვეთი გაიხსნა

რიკოთის ახალი მაგისტრალური გზის 27 კმ-იანი მონაკვეთი გაიხსნა. ხევი-შორაპნის 4 ზოლიანი, 27 კმ-იანი მონაკვეთი 65 ხიდსა და 38 გვირაბს მოიცავს. ახალი მონაკვეთი რიკოთზე გადაადგილების მანძილს 8 კმ-ით, გადაადგილების დროს კი 25 წუთით შეამცირებს. ის დააკავშირებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში უკვე აშენებული ჩქაროსნული მაგისტრალის მონაკვეთებს.

შეგახსნებთ: რიკოთის მაგისტრალური გზის მშენებლობის ფარგლებში, ჯამში, შენდება 52 კმ-მდე გზა, 97 ხიდი და 51 გვირაბი. დღეისათვის, 48 გვირაბი უკვე გაჭრილია, 83 ხიდი კი აშენებული. სამშენებლო სამუშაოები ინტენსიურად გრძელდება და პროექტი 2024 წელს დასრულდება.

ევროკავშირის ელჩი: „ეს მაგისტრალი აახლოებს საქართველოს ევროკავშირთან“

„ეს არის საუკუნის პროექტი, რომელიც წარმოადგენს ძალიან სერიოზულ ეტაპს, მთელი პროექტის შესრულებაში, მინდა მივულოცო მთავრობას“, – განაცხადა აზიის განვითარების ბანკის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ლესლი ბეარმან ლაჰმმა რიკოთის მაგისტრალური გზის 27 კმ-იანი მონაკვეთის გახსნაზე.

მისივე თქმით, აზიის განვითარების ბანკი და სხვა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები ამაყობენ ბოლო 15 წლის განმავლობაში მთავრობასთან თანამშრომლობით.

„მოგესალმებით, ჩემთვის ძალიან დიდი პატივია აქ ვიმყოფებოდე ხევი შორაპანის სექციისა რიკოთის ულელტეხილის, ეს არის საუკუნის პროექტი, რომელიც წარმოადგენს ძალიან სერიოზულ ეტაპს, მთელი პროექტის შესრულებაში, მინდა მივულოცო მთავრობას, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, განსაკუთრებით სხვადასხვა დეპარტამენტებს აღნიშნული ეტაპის გავლა. ჩვენ ვამაყობთ ბოლო 15 წლის განმავლობაში მთავრობასთან თანამშრომლობით, ისევე როგორც სხვა ფინანსური ორგანიზაციები რომელიც დღეს აქ არიან წარმოდგენილები, ჩვენ ვამბობთ, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის გზა განსაზღვრავს საქართველოს მოძრაობას, გააძლიერებს საქართველოს პოზიციას, როგორც სატრანზიტო ჰაბის პოზიციას, მაგრამ მინდა ხაზი გაუსვა აღმოსავლეთ-დასავლეთ კონტექსტს აი ამ გზის.

რამდენიმე ციფრს გაგიზიარებთ მნიშვნელობას ამ გზისას, 60 პროცენტი მოსახლეობისა ცხოვრობს 20 კილომეტრზე, აღმოსავლეთ-დასავლეთის გზაზე გადის 60 პროცენტი ტრანზიტისა 25 პროცენტი საერთაშორისო გზებისა საქართველოსი ADB-მ 800 მილიონის ინვესტიცია მოახდინა 2009 წლიდან და ეს გახლავთ ქობულეთის შემოვლითი გზა განსაკუთრებით, რომელმაც მოგვცა საშუალება თავიდან აგვეცილებინა საცობები, ბათუმის შემოვლითი გზა, რომელმაც ბათუმიდან გადაისროლა მძიმე სატვირთო მანქანები შემოვლით გზაზე, ხევი უბისაში 35 ხიდია და 20 გვირაბი, შორაპანი არგვეთა, რომელიც ძალიან კარგად მიდის წინ და დასრულდება შემდეგ თვეებში, როგორც მოვისმინეთ, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის როლი შუა დერეფანის შესაძლებლობას

გაზრდის და ჩვენ ამას ვაღიარებთ და ჩვენ გვინდა ვანახოთ აი ეს სატრანსფორმაციო პროექტები, ADB-ს ყოველწლიურ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართება შემდეგ წელს“, – განაცხადა ლესლი ბეარმან ლაჰმმა.

„ამ მაგისტრალის განვითარება პირდაპირი წვლილის შემტანია ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმების რელიზაციაში, ის აახლოებს საქართველოს ევროკავშირთან“, – აღნიშნა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა, პაველ ჰერჩინსკიმ რიკოთის ჩქაროსნული მაგისტრალის 27 კმ-იან მონაკვეთის გახსნის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას.

მისი თქმით, მაგისტრალი სერიოზულ წვლილს შეიტანს რეგიონული ინტეგრაციის გაუმჯობესებაში.

„ბატონო პრემიერ-მინისტრო, ძვირფასო მინისტრებო, ძვირფასო მინისტრებო, კოლეგებო, მეგობრებო, ჩვენ დღეს აქ ვიმყოფებით და მოწმეები ვართ ზალიან მნიშვნელოვანი ეტაპისა საქართველოს სატრანსპორტო დაკავშირებადობისა ევროკავშირთან. ეს ხდება იმ კონტექსტში, რასაც ჰქვია პირველი ევროპის გლობალური კარიბჭის

ფორუმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბრიუსელში, სადაც მონაწილეობდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ისევე, როგორც „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“, რომელიც მიმდინარე კვირას გაიმართა. გლობალური კარიბჭე გახლავთ ევროკავშირის სტრატეგია, რომ დაუკავშირდეს სხვადასხვა ნაწილებს ევროკავშირში. ევროპული სტრატეგიაა, რომ ბიძგი მისცეს გონივრულ, სუფთა და უსაფრთხო ბმულებს ციფრულ ენერგეტიკაში და სატრანსპორტო სექტორში და გააძლიეროს ჯანმრთელობის, განათლების და კვლევის სისტემები მსოფლიო მასშტაბით. ჩვენ გვიყვარს ამის თქმა, ძლიერები ვართ ერთად, მდგრადი განვითარების მეშვეობით. საქართველოში აღნიშნული სტრატეგია ხორციელდება ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმების მეშვეობით, მისი საფლაგმანო პროექტების გათვალისწინებით, რომელიც მიბმულია საერთაშორისო დაკავშირებადობასთანაქ შედის აღნიშნული ჩქაროსნული მაგისტრალი, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალი. ეს მაგისტრალი გახლავთ გაფართოებული ტრანს ევროპული სატრანსპორტო ქსელისა, რომელიც გვაძლევს რეგიონული ინტეგრაციის შესაძლებლობებს

გაზრდილი დაკავშირებადობის მეშვეობით. როგორც ბატონმა პრემიერმა აღნიშნა აბრეშუმის ფორუმის დროს, ამ კვირაში, საქართველო მიისწრაფვის, რომ გახდეს რეგიონული სატრანზიტო ჰაბი და ცენტრი აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო მარშრუტებისა. აღნიშნული ინვესტიცია სერიოზულად სერიოზულად შევსებულია ევროკავშირის გრანტებით, რომლებიც მიბმულია საგზაო უსაფრთხოების ზომებს. ეს სერიოზულად შეიტანს წვლილს რეგიონული ინტეგრაციის გაუმჯობესებაში. ამავე დროს, შეარბილებს რისკებს, რომელიც ასოცირებულია საგზაო მოძრაობასთან.

ჩვენ მადლობელი ვართ ევროპული საინვესტიციო ბანკის, რომელიც აფინანსებს აღნიშნულ ინვესტიციებს. ამ მაგისტრალის განვითარება პირდაპირი წვლილის შემტანია ეკონომიკური და საინვესტიციო გეგემების რელიზაციაში, ის აახლოებს საქართველოს ევროკავშირთან. მინდა, გავიმეორო ციტატა, რომელიც ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დელ ლაიენმა თქვა „გლობალური კარიბჭის ფორუმზე“. მან გოეთეს ციტირება მოახდინა და განაცხადა, „ის, ვინც არ მიდის წინ, მიდის უკან“. მოდით, ერთად ვიაროთ წინ, რათა დავაკავშიროთ საქართველო ევროკავშირთან“, – განაცხადა პაველ ჰერჩინსკიმ.

„დღეის მდგომარეობით 261 კმ მაგისტრალი არის გახსნილი, აქედან, 193 კმ მაგისტრალი ჩვენი მთავრობის დროს აშენდა და გაიხსნა“, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რიკოთის მაგისტრალური გზის 27 კმ-იანი მონაკვეთის გახსნაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, რიკოთის მაგისტრალური გზა ჯამში იქნება 52 კმ, 97 ხიდი შენდება და 51 გვირაბი.

„ჩვენ დღეს საზეიმოდ გავხსენით 27-კილომეტრიანი, 4-ზოლიანი ახალი მაგისტრალური გზა, რომელიც მოიცავს 65 ხიდსა და 38 გვირაბს“, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რიკოთის მაგისტრალური გზის 27 კმ-იანი მონაკვეთის გახსნაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, რიკოთის მაგისტრალური გზა ჯამში იქნება 52 კმ, 97 ხიდი შენდება და 51 გვირაბი.

დასასრული მე-5 გვერდზე

რიკოთის ახალი მაგისტრალური გზის 27 კმ-იანი მონაკვეთი გაიხსნა

მე-4 გვერდიდან

„მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო, მივესალმები პატივცემულ ელჩებს, პარლამენტისა და მთავრობის წევრებს, ბიზნესის წარმომადგენლებს. პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ვარ ძალიან გახარებული და ბედნიერი, რომ ასეთი მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტის გახსნის ცერემონიაში ვიღებ მონაწილეობას. ჩვენ, ყველამ, კარგად ვიცით, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის მაგისტრალებისა და გზების მშენებლობას, განსაკუთრებით აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გზის მშენებლობას.

დღევანდელი მდგომარეობით, 261 კმ მაგისტრალი არის გახსნილი, აქედან – 193 კმ მაგისტრალი ჩვენი მთავრობის დროს აშენდა და გაიხსნა. ყველაზე რთული, გამოწვევებით აღსავსე იყო რიკოთის მონაკვეთი, რომელიც მიჩნეული იყო და არის ჯერ კიდევ – ერთ-ერთი ყველაზე რთული და გამომწვევი მონაკვეთი, მაგრამ თქვენ უყურებთ, რომ აშენდა 4-ზოლიანი ჩქაროსნული მაგისტრალი და, რა თქმა უნდა, გრძელდება ეს პროცესი. ჩვენ დღეს საზეიმოდ გავხსენით 27 კმ-იანი, 4-ზოლიანი ახალი მაგისტრალური გზა, რომელიც მოიცავს 65 ხიდსა და 38 გვირაბს. მინდა ისიც აღვნიშნო, რომ, რა თქმა უნდა, ამ ახალი გზის გახსნა გაუადვილებს ჩვენს მოქალაქეებს გადაადგილებას და არა მხოლოდ მათ, არამედ – ტურისტებს, მგზავრებს, ყველას, ვინც სარგებლობს ამ გზით. ასევე გადაზიდვები გაცილებით უფრო კომფორტული გახდება, გამტარუნარიანობას გაზრდის ამ მაგისტრალური გზის გახსნა. მე შეგახსენებთ, რომ რიკოთის მაგისტრალური გზა ჯამში იქნება 52 კმ, 97 ხიდი შენდება და 51 გვირაბი. დღეის მდგომარეობით, 48 გვირაბი უკვე გაჭრილია და 83 ხიდი – აშენებული. ეს არის გრანდიოზული სამუშაოები, ყველაზე მასშტაბური პროექტი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მასშტაბის, სირთულის, გადაწყვეტის თვალსაზრისით, არ განხორციელებულა ჩვენი ქვეყნის რეალობაში ასეთი ანალოგიური პროექტი“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, აქტიურად მიმდინარეობს დარჩენილ მონაკვეთებზე სამუშაოები.

„ამიტომ, მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ მივესალმებით ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას. სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ჩვენი გეგმის მიხედვით, 2024 წლის ბოლოს მთლიანად გაიხსნება რიკოთის მონაკვეთი.

კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ, რომ 2012 წლიდან, მას შემდეგ, რაც ჩვენი ხელისუფლება მოვიდა სათავეში, 261 კილომეტრი მაგისტრალური გზიდან 193 კილომეტრი არის ჩვენ მიერ აშენებული და ჩვენი მთავრობის დროს გახსნილი. ახლა მიმდინარეობს 81 კილომეტრზე სამუშაოები, გრძელდება, რა თქმა უნდა, და ჯამში 2013 წლიდან მოყოლებული ჯამურად 16 000 კილომეტრი გზა აშენდა და რეაბილიტირდა. ეს არის ძალიან მასშტაბური სამუშაოები, აქედან მხოლოდ ინფრასტრუქტურის სამინისტროს გზების დეპარტამენტიდან 6 მილიარდი ლარი არის ინვესტირებული, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. მე მითქვამს და მინდა გავიმეორო, რომ გზებისა და მაგისტრალების მშენებლობას მოაქვს სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა. ჩვენ გვესმის, რომ ეს არის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი და ძალიან დიდი დანახარჯები აქვს ამ მასშტაბურ პროექტებს, მაგრამ თქვენ ხედავთ, რომ ქვეყანა იცვლება. ამ პერიოდში ქვეყანა ვითარდება, განვითარდა, გაძლიერდა, გამდიდრდა და ის დოვლათი, რომელიც იქმნება ქვეყანაში, გადანაწილდება და გადანაწილდა რეგიონების მიხედვით.

მე არ შემიძლია, განსაკუთრებული მადლობა არ გადავუხადო ევროკავშირის ელჩს, ასევე ევროპის საინვესტიციო ბანკის წარმომადგენელს, აზიის განვითარების ბანკის, მსოფლიო ბანკის წარმომადგენელს, ყველა დონორ ორგანიზაციას, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ამ გრანდიოზული, საუკუნის, მე ასე ვიტყოდი, პროექტის განხორციელების დაფინანსების პროცესში. მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ირაკლი ქარსელაძეს და მის გუნდს, გზების დეპარტამენტს, ყველა მშენებელს, ინჟინერს, ვინც ჩართული იყო ამ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში. რა თქმა უნდა, მეგობრებო, გრძელდება მშენებლობა და მიმაჩნია, რომ ეს არის ის, რაც ჩვენ ყველას გვახარებს, ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს უხარია ამ განვითარების, პროგრესის ხილვა და ეს პროცესი გაგრძელდება და მივა ბოლომდე. დიდი მადლობა და ბატონ ირაკლი ქარსელაძეს კიდევ ერთხელ მადლობა მინდა გადავუხადო ასეთი წარმატებული პროექტის განხორციელებისათვის“, – აღნიშნა პრემიერმა.

ღონისძიების სტუმრებს სიტყვით მიმართეს: საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრმა – ირაკლი ქარსელაძემ, საქართველოში ევროკავშირის ელჩმა – პაველ ჰერჩინსკიმ, ევროპის საინვესტიციო ბანკის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა – მაჩეი ჩურამ, საქართველოში აზიის განვითარების ბანკის მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორმა – ლესლი ბეარმან ლამმა, სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა – როლანდ პრაისმა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ – გიორგი წერეთელმა.

ღონისძიებას აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე – დიპლომატიური კორპუსისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო მაგისტრალური გზის (E60-ის) შემადგენელი რიკოთის ჩქაროსნული მაგისტრალის 27 კმ-იან მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა გაიხსნა. მაგისტრალური გზის ახალი 27 კმ-იანი, 4-ზოლიანი მონაკვეთი იწყება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევთან და მთავრდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დაბა შორაპანთან. ხევი-შორაპნის მონაკვეთი მოიცავს 65 ხიდსა და 38 გვირაბს.

ახალი მონაკვეთი რიკოთზე გადაადგილების მანძილს 8 კმ-ით, ხოლო გადაადგილების დროს 25 წუთით ამცირებს. ამასთან სწორედ ხევი-შორაპნის მონაკვეთზეა საქართველოში ყველაზე გრძელი – 1362 მეტრის ხიდი, ხოლო ამავე მონაკვეთზე ყველაზე გრძელი გვირაბის სიგრძე 1640 მეტრია. ახალი გზა ითვალისწინებს საგზაო უსაფრთხოების ყველა თანამედროვე სტანდარტს, მათ შორის – გარე განათების სისტემასაც.

რიკოთის მაგისტრალური გზის მშენებლობის პროექტი, რომელიც მიმდინარეობს რთულ რელიეფზე მასშტაბური საინჟინრო გადაწყვეტებით, უპრეცედენტოა საქართველოში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებთან მიმართებაში. რიკოთის პროექტის ფარგლებში, ჯამში, შენდება 51 გვირაბი და 97 ხიდი. ამ დროისათვის უკვე გაჭრილია 48 გვირაბი და აშენებულია 83 ხიდი. სამშენებლო სამუშაოები პარალელურად მიმდინარეობს ყველა დარჩენილ ხიდსა და გვირაბზე.

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის მშენებლობა 4 სექციად არის დაყოფილი: ჩუმათელეთი-ხევის, ხევი-უბისას, უბისა-შორაპნის და შორაპანი-არგვეთას მონაკვეთებად.

მშენებლობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების – ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB), მსოფლიო ბანკისა (ᲑᲐ) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით მიმდინარეობს. სამშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულება 2.6 მილიარდ ლარამდეა, პროექტის დასრულება კი 2024 წელს იგეგმება.

პროექტის ფარგლებში სურამთან, შროშასთან და ზესტაფონთან მოეწყობა სპეციალური სივრცეები, ე.წ. სავაჭრო მოედნები, სადაც მოსახლეობა საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას გამართული ინფრასტრუქტურისა და საგზაო უსაფრთხოების პირობებში შეძლებს.

რიკოთის მაგისტრალური გზის პროექტირებაზე იმუშავეს ცნობილმა ამერიკულმა, იტალიურმა, თურქულმა და ქართულმა კომპანიებმა. ჯამურად რიკოთის პროექტირებაზე 140 სპეციალისტი მონაწილეობდა, საიდანაც 84 ადგილობრივი იყო. საპროექტო გუნდი მოიცავდა გვირაბების, ხიდების, საავტომობილო გზების ინჟინრებს, გეოლოგებს, გეოტექნიკოსებს, გარემოს დაცვისა და საგზაო უსაფრთხოების თუ სხვა დარგის სპეციალისტებს.

სამშენებლო სამუშაოებს ასრულებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროცედურებით ჩატარებულ ღია ტენდერში გამარჯვებული 4 სხვადასხვა ჩინური კომპანია, ხოლო სამშენებლო სამუშაოებს ზედამხედველობენ, რამდენიმე ათეული წლის გამოცდილების მქონე, საერთაშორისო საზედამხედველო კომპანიები საფრანგეთიდან, თურქეთიდან, ავსტრალიიდან და კორეიდან. რიკოთის მონაკვეთის ზედამხედველობაში ჩართულია 146 გამოცდილი სპეციალისტი, მათ შორის – 99 ადგილობრივი და 47 საერთაშორისო ექსპერტი.

რიკოთის მაგისტრალური გზის მშენებლობაზე დასაქმებული იყო 10,000 ადამიანზე მეტი, საიდანაც 70%-ზე მეტი საქართველოს მოქალაქეა.

აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო მაგისტრალური გზის (E60) განვითარება ხელს უწყობს საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას. გაიზრდება ჩქაროსნული გზის გამტარუნარიანობა და სატრანზიტო ტვირთბრუნვა, გაუმჯობესდება ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხი და შემცირდება მგზავრობის დრო.

აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გზის 60% (261 კმ) ავტოტრანსპორტისთვის უკვე გახსნილია. სამშენებლო სამუშაოები გრძელდება მაგისტრალური გზის 81 კმ-ზე.

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი 2023“ – ევროპული ბიზნესის წვდომა სამხრეთ კავკასიაზე, ცენტრალურ აზიასა და ჩინეთზე, საქართველოს გავლით

მაკა რუხაძე

საქართველო რომ სტრატეგიული გზასაყარი და უმოკლესი ხიდია ევროპასა და აზიას შორის, ამას ადრეული და შუა საუკუნეების ისტორიული, უფრო ზუსტად, პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტებიც მოწმობენ. სხვათა შორის, არც სახელწოდება – „აბრეშუმის გზაა“ შემთხვევითი და ესეც შუა საუკუნეებიდან მოდის – საქართველოს აქტიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, მეტიც, ძველი თბილისი ერთგვარი ჰაბიც იყო, სადაც თავს იყრიდნენ მსოფლიოში ცნობილი ვაჭრები, როგორც აღმოსავლეთიდან, ასევე – დასავლეთიდან. საქართველოს სტრატეგიული მდებარეობისა და მის წიაღში აღმოსავლურ-დასავლური კულტურების საოცარი სინთეზის გამო იტყვის „ცისფერყანწელი“ ტიციან ტაბიძე მე-20 საუკუნის 30-იან წლებში: „ჰაფეზის ვარდი მე პრუდონის ჩავდე ვაზაში, ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს და რაც შემხვდება, შემაჩერებს შორეულ გზაში, ჩემ ღვრია ლექსში დაისვენებს და დაიჩრდილებს“...

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი 2023“, რომელმაც ორ დღეს გასტანა, უკვე დასრულდა. წლევანდელ ფორუმს მსოფლიოს 60-მდე ქვეყნის 2 000-მდე სტუმარი დაესწრო. წელს, „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ მთავარი თემა „დაკავშირებადობა“ იყო, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, უკვე მეოთხედ ჩატარდა. გახსნის ცერემონია 26 ოქტომბერს, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში შედგა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და მონტენეგროს პრემიერ-მინისტრების მონაწილეობით. 2015 წელს, „აბრეშუმის გზის ფორუმი“ ირაკლი ღარიბაშვილმა დააფუძნა. ამ ხნის მანძილზე, ფორუმი უკვე საერთაშორისო ბრენდად იქცა, რომელიც მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ პლატფორმად ჩამოყალიბდა.

26 ოქტომბერს, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, ფორუმი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნა. გახსნით პანელზე, პრემიერმა რეგიონულ, ასევე გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე ისაუბრა:

„2012 წლიდან მოყოლებული, ჩვენი მთავრობა ახერხებდა მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას, თანაც უპრეცედენტოდ, მთელი ათწლეულის განმავლობაში და ამის შედეგად, უკვე ჩვენი ქვეყნისა და პარტნიორებისთვის სიტუაცია უფრო სანდო და პროგნოზირებადი ხდებოდა. საქართველომ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია განიცადა 2008 წელს და მის შედეგებს კვლავაც განიცდის – ეს ჯერ კიდევ კარგად ჩანს, რადგან საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ და ადგილნაცვალია 100 ათასობით ადამიანი. ღრმა რწმენით ვაცხადებ, რომ ამ განადგურების მიუხედავად, რომელიც ჩვენ განვიცადეთ, დაუყონებლივ დავიწყეთ ჩვენი ამბიციების განხორციელება და ეტაპობრივად გადავაქცევთ საქართველოს დინამიკურ საზოგადოებად, რომელიც მზად არის მშვიდობის, სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების მისაღწევად“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, მთავრობის „მშვიდობიანი სამეზობლო ინიციატივის“ საშუალებით, ქვეყანა მზადაა, ამ პროცესში ჩართოს მეზობელი და მეგობარი ქვეყნები – სომხეთი და აზერბაიჯანი, რათა საბოლოოდ დამყარდეს ხანგრძლივი მშვიდობა სამხრეთ კავკასიაში. **„მოხარული ვარ, რომ ვმასპინძლობ ჩემს ორივე ძვირფას კოლეგას – პრემიერ-მინისტრ ფაშინიანს და პრემიერ-მინისტრ ასადოვს. ზედმეტია იმის თქმა, რომ ხანგრძლივი მშვიდობა სარგებელს მოუტანს ჩვენს ყველა ქვეყანას და მთელ რეგიონს, ხოლო ჩვენს ერებს – დამსახურებულ კეთილდღეობას.**

„საქართველო – ეს არის ადგილი ინვესტიციებისთვის!“

ქალბატონებო და ბატონებო, საქართველო ბუნებრივ ხიდად წარმოჩნდება ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე. ქვეყანა დღითიდღე გარდაიქმნება მრავალგანზომილებიან რეგიონულ ცენტრად. ჩვენმა მთავრობამ მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა ინფრასტრუქტურის მოდერნიზებაში, დაკავშირებადობის უნარის გაძლიერებასა და ქმედითი სავაჭრო მარშრუტების განვითარებაში. შუა დერეფანი, საქართველოს გავლით, სწრაფად ყალიბდება, როგორც ტრადიციული მარშრუტების სტაბილური და უსაფრთხო ალტერნატივა. ჩვენ უკვე წარმოვჩნდებით აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთ-ერთ უმოკლეს და საიმედო სატრანსპორტო ვარიანტად. მჭიდროდ ვმუშაობთ ჩვენს აზერბაიჯანელ და ყაზახ კოლეგებთან ერთად, რათა აღმოვფხვრათ წინაღობები ინფრასტრუქტურის შესაძლებლობების გაუმჯობესებით, პროცედურების გამარტივებითა და ერთიანი სატარიფო პოლიტიკის დანერგვით“.

რაც შეეხება საქართველოს, როგორც ინვესტორებისთვის მიმზიდველ ქვეყანას, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ჩვენ ვემსახურებით ზღვაზე გასასვლელის არმქონე რვა ქვეყანას, რაც ნამდვილ კარიბჭედ წარმოგვაჩენს ევროპასა და აზიას შორის. ევროპულ ბიზნესს საქართველო წვდომას სთავაზობს არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაზე, არამედ, ცენტრალურ აზიასა და ჩინეთზე.

„როგორც ევროპის სახმელეთო კვეთის წერტილი, საერთაშორისო ფირმებს კონკურენტულ გარემოს ვთავაზობთ აზიაში ვაჭრობის, კომერციისა და ენერგეტიკის მიმართულებით, რაც მათ საოპერაციო ხარჯებსაც შეამცირებს. ბოლო დროს, ჩვენი ურთიერთობა ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დონემდე ამაღლდა, რაც ჩვენს როლს აძლიერებს და წარმოგვაჩენს კონტინენტებს შორის არსებითი დამაკავშირებლის ამპლუაში. ეს ხელს უწყობს უფრო მეტ დაკავშირებადობას და ეკონომიკურ თანამშრომლობას. ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური სტაბილურობისთვის და განვითარებისთვის. მას საკვანძო დამაკავშირებელი როლი აქვს აზიასა და ევროპას შორის. ამავდროულად, საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა გადამწყვეტია აზიური ბიზნესისა და ინვესტორებისთვისაც. საქართველო მათ არა მხოლოდ წვდომას სთავაზობს ევროპულ ბაზრებზე, არამედ, ამ სამეზობლოში სამომხმარებლო ბაზის გაფართოების პლატფორმასაც უზრუნველყოფს“.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველოს, როგორც რეგიონული ჰაბის პოზიციის გასაძლიერებლად, მთავრობა დიდ ინვესტიციას ახორციელებს ფართომასშტაბიან ინფრასტრუქტურულ პროექტებში. საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი, პრიორიტეტია საზღვაო ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად. მისი თქმით, ეს ნოვატორული პროექტი, რომლითაც საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობა შედგება, შექმნის უმაღლესი დონის ღრმაწყლოვან პორტს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. პირველ ეტაპზე, ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტს, სავარაუდოდ, მინიმალური სიმძლავრე ექნება – წლიური 100 მილიონი ტონის გადაზიდვის წარმადობით.

„საქართველო მზადაა შეასრულოს საკვანძო როლი და იქცეს ენერგეტიკული ტრანზიტის, ტვირთების გადაზიდვისა და ციფრული ურთიერთკავშირის რეგიონულ ცენტრად. სტრატეგიული მნიშვნელობის რამდენიმე რეზონანსული პროექტი დავიწყეთ, რომლებსაც გლობალური გავლენა ექნება ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე და კლიმატის ცვლილებაზე. შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელი, საქართველოს გავლით, სატრანზიტო შესაძლებლობების გახსნასა და მწვანე ენერგიით ვაჭრობას შეუწყობს ხელს ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიას შორის. ის გამოიწვევს განახლებადი ენერგიის, მათ შორის, წყალბადის წარმოების მიმართულების განვითარებას. სტრატეგიული შეთანხმება, რომელსაც საქართველოს, აზერბაიჯანის, უნგრეთისა და რუმინეთის ლიდერებმა ბუქარესტში მოვაწერეთ ხელი 2022 წლის დეკემბერში, წარმოადგენს ამ ენერგეტიკული პარტნიორობისა და წარმატებული პროექტის მყარ საფუძველს. მსოფლიო ბანკი მას უკვე მიიჩნევს ეკონომიკური მიზანშეწონილობის მქონე პროექტად. ველით, რომ მისი სრული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა 2024 წელს დასრულდება. წყალქვეშა ელექტროკაბელის პარალელურად, შავი ზღვის წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი პირდაპირ დააკავშირებს სამხრეთ კავკასიას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან, რაც ჩვენს მოქალაქეებს უფრო სწრაფი და სტაბილური ინტერნეტკავშირით უზრუნველჰყოფს“.

მისასალმებელი სიტყვის ბოლოს, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ სამომავლოდ, ჩვენი ამბიციაა, კიდევ უფრო მეტად გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის პოტენციალი და საქართველო გახდეს რეგიონის მთავარი კომერციული, ფინანსური ცენტრი. ამავდროულად, ქვეყანამ უნდა გააგრძელოს რეგიონის ლიდერობა ტექნოლოგიებისა და განათლების მიმართულებით. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველომ ტრანსფორმაციულ წარმატებას მიაღწია მსოფლიოში, როგორც ერთ-ერთმა, ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკისა და სტაბილური ბიზნესგარემოს მქონე ქვეყანამ.

ფორუმის გახსნითი პანელის მთავარმა სპიკერებმა თავიანთ გამოსვლებში ისაუბრეს, როგორც აბრეშუმის გზის ისტორიულ მნიშვნელობაზე, ისე დღესდღეობით, რეგიონსა და მსოფლიოში არსებულ გამოწვევებსა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის, სხვადასხვა მიმართულებით პარტნიორობის აუცილებლობაზე.

დასასრული მე-7 გვერდზე

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი 2023“ – ევროპული ბიზნესის წვდომა სამხრეთ კავკასიაზე, ცენტრალურ აზიასა და ჩინეთზე, საქართველოს გავლით

მე-6 გვერდიდან

ფორუმი 26-27 ოქტომბერს ჩატარდა და მის ფარგლებში, ათი თემატური, პანელური სესია და პარალელური პანელური დისკუსიები შედგა შემდეგ თემებზე: „შუა დერეფნის“ მზარდი როლი; სატრანსპორტო-ლოგისტიკური კავშირების განვითარება; ფინანსური სექტორი; კავშირგაბმულობა; ენერგეტიკა; ტურიზმი; ტექნოლოგიები. აღსანიშნავია, რომ ფორუმის მეორე დღე, მთლიანად საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების განხილვას დაეთმო.

„ვერსია“ რამდენიმე, მნიშვნელოვანი პანელური დისკუსიის მიმოხილვას გთავაზობთ. დავიწყოთ თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის პანელური დისკუსიით: „ვაჭრობა მომავლისთვის“, რომელზეც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, გენადი არველაძემ ისაუბრა. მისი გამოსვლის ძირითადი თემა სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალური კურსი და პარტნიორ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა იყო. გენადი არველაძის თქმით, საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ქვეყნებთან ვაჭრობის გაუმჯობესებისა და ლიბერალიზაციის თვალსაზრისით:

„უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, გლობალურად იყო რამდენიმე კრიზისი, მათ შორის, რეცესია. რეცესიის შემდგომ, ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლების მისაღწევად, ერთ-ერთი მიზანი იყო ბარიერების ჩამოშლა, რომ უფრო მეტად გაზრდილიყო წარმოება, გაზრდილიყო ინვესტირება, გაზრდილიყო სტაბილურობა, რომ შემდგარიყო კარგი სავაჭრო ურთიერთობები სხვადასხვა პარტნიორთან. ამ თვალსაზრისით, საქართველო ასრულებს პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც, ქვეყანას უნდა ჰქონდეს ერთ-ერთი ყველაზე მეტად ლიბერალური პოლიტიკა. საქართველოს აქვს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ტარიფი გლობალურ ჭრილში. აღნიშნული მნიშვნელოვანი მახასიათებელია ჩვენი პარტნიორებისა თუ იმპორტიორებისათვის“.

გენადი არველაძემ ისაუბრა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმების კუთხით მიღწეულ შედეგებზე და ხაზი გაუსვა აღნიშნული შეთანხმებების როლს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნებაში. მისი თქმით, უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში, საქართველო ცდილობს შექმნას და შეიმუშაოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები რეგიონის სხვადასხვა ქვეყანასთან. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აქვს ძალიან ბევრ ქვეყანასთან ამიერკავკასიაში, ცენტრალურ აზიაში, თურქეთთან, ასევე, ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას ერთ-ერთ ყველაზე დიდ ეკონომიკასთან – ჩინეთთან, ჰონგ-კონგთან, გაერთიანებულ სამეფოსთან:

„ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი პირველები ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მოლაპარაკებების დაწყების თვალსაზრისით. სულ ახლახან, ასეთ შეთანხმებას ხელი მოვაწერეთ სპარსეთის ყურის ერთ-ერთ ქვეყანასთან. სპარსეთის ყურე წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგიონს ჩვენთვის და უკანასკნელი შეთანხმება სწორედ ხელმოწერილია არაბეთის გაერთიანებულ საემიროებთან. ღია და ლიბერალური პოლიტიკით, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, უზრუნველვჰყოთ ეკონომიკური ზრდა და ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, თავისთავად, ექსპორტია. ლიბერალური ვაჭრობა კი ყოველთვის ხელს უწყობს ექსპორტის ზრდას გლობალურად, ამიტომაც შევძელით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, კოვიდ-პანდემიის შემდეგ შეგვენარჩუნებინა ორნიშნა ზრდა“.

ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, „შუა დერეფნის“, როგორც საერთაშორისო კავშირების მნიშვნელოვან ფაქტორზე ისაუბრა „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ფარგლებში მიმდინარე, ამავე სახელწოდების პანელურ დისკუსიაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საგზაო-სატრანსპორტო კავშირი უმნიშვნელოვანესია ეკონომიკის ყველა სექტორის განვითარებისთვის, ვაჭრობა იქნება ეს, ინვესტირება, თუ სხვა.

როგორც ვიცე-პრემიერმა განაცხადა, არსებული გამოწვევების მიუხედავად, შუა დერეფნის განვითარების თემა დიდი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. მისი თქმით, „დაკაშირებადობა“ – წლევანდელი „აბრეშუმის გზის ფორუმის“ მთავარი თემაა. ამ კონტექსტში, დისკუსიის მონაწილეები განიხილავენ „შუა დერეფნის“ განვითარების პერსპექტივებს და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს:

„ახლა, უფრო მეტად გავამახვილოთ ყურადღება კავშირზე, ტრანსპორტზე. საგზაო კავშირები, საგზაო ტრანსპორტი ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ ამ კონკრეტულ სექტორს ვანვითარებთ, რა თქმა უნდა, ეკონომიკის ყველა სექტორისა და დარგისთვის. ვაჭრობის, ინვესტირების გარდა, ეს ზეგავლენას ახდენს უმუშევრობასა და საარსებო საშუალებებზე. ეს არის ერთი საკითხი, ინფრასტრუქტურაში მაღალი დანახარჯები კი ჩვენი მეორე პრიორიტეტია, რადგანაც ამას წვლილი შეაქვს ეკონომიკის განვითარებაში. 2021-2022 წელს, საქართველოში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა აღინიშნებოდა და ჩვენ გვინდა, რომ 2023 წელსაც შენარჩუნდეს ეს მაღალი მაჩვენებელი“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ვიცე-პრემიერთან ერთად, პანელურ დისკუსიაში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის ციფრული განვითარებისა და ტრანსპორტის მინისტრი რაშად ნაბიევი, თურქეთის რესპუბლიკის ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ენვერ ისკურტი, ყაზახეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის ვიცე-მინისტრი სატჟან აბლალიევი, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია – IMO გენერალური მდივანი კიტაკ ლიმი და საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტის გაერთიანება – IRU გენერალური მდივანი უმბერტო დე პრეტო.

ლევან დავითაშვილის თქმით, საქართველო თანამშრომლობს და მონაწილეობს ფართომასშტაბიან საერთაშორისო პროექტებსა და ისეთ ინიციატივაში, როგორიც „შუა დერეფანია“. მისი თქმით, ხუთი წელია წინ სამუშაოდ, რათა ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდეს, თანამშრომლობა შედგეს, პოლიტიკა ჩამოყალიბდეს და საკანმომდებლო ჩარჩო შეიქმნას. გარდა ამისა, საჭიროა აქტივობების, საქმიანობის კოორდინაცია, რათა ყველაფერი იყოს სანდო, მიმზიდველი და საერთაშორისო დონეზე გამჭვირვალე.

შეგახსენებთ, რომ „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ მეორე სამუშაო დღე ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობების განხილვას დაეთმო. შესაბამისად, მეორე დღე საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა გახსნა. თავის გამოსვლაში, მან რამდენიმე, ძირითად აქცენტზე გაამახვილა ყურადღება. მათ შორის, ისაუბრა ქვეყნებს შორის თანამშრომლობასა და ერთობლივი, ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებაზე, რაც ხელს შეუწყობს, როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ ეკონომიკას.

ვიცე-პრემიერის თქმით, ყველა ქვეყანა ცდილობს, განავითაროს ხელსაყრელი, პროგნოზირებადი, ბიზნესისთვის კეთილგანწყობილი ეკონომიკა და საქართველოც სწორედ ამ გზას მიყვება. დროთა განმავლობაში, ქვეყანა გახდა სტაბილური, უსაფრთხო, სანდო და მიმზიდველი პარტნიორი, მათ შორის, უცხოელი ინვესტორებისთვის. ეკონომიკის მინისტრმა ფორუმის დელეგატებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნის პროცესში გადადგმული ნაბიჯებისა და მიმდინარე რეფორმების შესახებ:

„ჩვენი დადებითი ეკონომიკური ტრაექტორია – ეს არის კარგად შემუშავებული მაკრო-ეკონომიკური პოლიტიკის მთელი რიგი სტრატეგიული რეფორმებისა და ჩვენი ამბიციების შედეგი. ჩვენ გვსურს, უზრუნველვჰყოთ წვდომა ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, ავამაღლოთ ენერგეტიკული უსაფრთხოება და დავამყაროთ უფრო მეტი კავშირი ევროკავშირთან. სწორედ ამ დღის წესრიგის გათვალისწინებით, საქართველო – ეს არის ადგილი ინვესტიციებისთვის! აქ დაბალი ხარჯები თანხვედრაშია შემცირებულ რისკებთან“.

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ მიმართ წელს უპრეცედენტოდ მაღალი დაინტერესება იყო, რადგან მასში 60-მდე ქვეყნის 2 000-ზე მეტი სტუმარი მონაწილეობდა. პანელურ სესიებში, სპიკერები იყვნენ ევროპული და აზიური ქვეყნების მთავრობათა მაღალი რანგის წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი დონის ოფიციალური დელეგაციების გარდა, ფორუმზე აქტიურად და მაღალ დონეზე იყო წარდგენილი გლობალური ბიზნეს-სექტორი.

„აბრეშუმის გზის ფორუმში“ მონაწილეობდნენ დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო, მათ შორის, საფინანსო და დონორი ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაცია, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია და სხვა) წარმომადგენლები, საერთაშორისო კორპორაციების ხელმძღვანელი პირები, საერთაშორისო რანგის ექსპერტები. სესიების მოდერატორები იყვნენ BBC-ის, Bloomberg-ის, Deutsche Welle-ს წამყვანი ჟურნალისტები. ღონისძიებებს 200-მდე ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტი აშუქებდა.

ფორუმის ფარგლებში, კერძო სექტორის მონაწილეობით, 250-ზე მეტი B2B შეხვედრა გაიმართა.

რა ქონებას ფლობს დეპუტატი ქალბატონი, რომელმაც ოპოზიციონერი კოლეგები ვინაობის დასახელების გარეშე ამხილა

ხათუნა სამნიძის ქონებრივი დეკლარაცია

მაკა რუხაძე

გასული კვირის მთავარი პოლიტიკური სკანდალი დეპუტატ ქალბატონებს – ხათუნა სამნიძესა და ხატია დეკანოიძეს უკავშირდება. საქართველოს პარლამენტის წევრმა და „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარემ, ხათუნა სამნიძემ განაცხადა, რომ ქვეყნის პარტნიორები ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, ოპოზიციური პოლიტიკური ფიგურებისგან არაერთგვაროვან გზავნილებს ისმენენ. მისი თქმით, არიან პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც დახურულ კარს მიღმა, არა საჯაროდ, ჩვენს პარტნიორებთან აჟღერებენ შუა ტიპის გზავნილებს, რომ სტატუსთან დაკავშირებით გადაწყვეტილება გადაიდოს არჩევნების შემდეგ. იგივე დაადასტურა ხატია დეკანოიძემაც, თუმცა არცერთ ქალბატონს არ დაუსახელებია იმ ოპოზიციონერების ვინაობა, რომლებიც ევროპელ პარტნიორებს სტატუსის მინიჭების გადადებას სთხოვენ...
„ვერსია“ დეპუტატ ხათუნა სამნიძის ქონებრივ დეკლარაციას გაგაცნობთ, თუმცა იქამდე, ვიდრე შევიტყობთ, რა ქონებას ფლობს დეპუტატი ოფიციალურად, ჯერ მისი ბიოგრაფია გავიხსენოთ.

ხათუნა სამნიძე დაბადა 1978 წლის 28 ნოემბერს, ბათუმში. 1985-1995 წლებში, სწავლობდა ბათუმის #1 საშუალო სკოლაში. 1996-1999 წლებში, სწავლობდა ბათუმის ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე.

1997-1999 წლებში, ხათუნა სამნიძე მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული, საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებების საკითხთა მუდმივი კომისიაში, თარჯიმნისა და კომპიუტერის ოპერატორის პოზიციაზე.

2004-2008 წლებში – აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს წევრი რესპუბლიკური პარტიიდან;

2010-2013 წლებში – პროგრამის კოორდინატორი ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროში.

2013 წელს – რესპუბლიკური პარტიის საორგანიზაციო მდივანი.

2014-2017 წლებში – თბილისის საკრებულოს წევრი და ფრაქცია რესპუბლიკელების თავმჯდომარე. იმავდროულად, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარეცაა.

2020 წლიდან, საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრია პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკიდან: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“.

ხათუნა სამნიძეს ჰყავს ქალიშვილი – სალომე დიასამიძე, რომელიც 2001 წელს, გერმანიაში, მაგდებურგში დაიბადა.

რაც შეეხება ქონებრივ დეკლარაციას, დავიწყოთ 2016 წლიდან. დეკლარაციის მიხედვით, ირკვევა, რომ ხათუნა სამნიძეს აქვს 77 კვ.მ. ფართობის ბინა თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე, რომელიც 11 000 აშშ დოლარად შეუძენია.

სწორედ ამ დროს, ის უკვე რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარეა, რისთვისაც წლის მანძილზე, ხელფასის სახით, პარტიამ 24 000 ლარი გადაუხადა. პარალელურად, ხათუნა სამნიძე საკრებულოში, ფრაქციის თავმჯდომარეა და მისი წლიური ხელფასი საკრებულოდან – 31 200 ლარია.

2017 წელს, მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ხათუნა სამნიძეს დეკლარაციაში არ ჰქონდა აღნიშნული, რომ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის თანამესაკუთრე იყო. თუმცა ეს „ხარვეზი“ 2018 წელს „გამოასწორა“ და დეკლარაციაში მიწის ეს ნაკვეთი მიუთითა. იქვე, დაზუსტებულია, რომ ამ ნაკვეთის თანამესაკუთრე 2010 წელს გამხდარა.

2018 წლის დეკლარაციით, წლის მანძილზე, ხათუნა სამნიძემ პარტიიდან, ხელფასის სახით 11 593 ლარი, ხოლო თბილისის საკრებულოდან, თითქმის ოთხჯერ მეტი – 42 582 ლარი მიიღო...

ძველი დეკლარაციების განხილვა ამით დავასრულოთ და ვნახოთ, რა ქონებას ფლობდა დეპუტატი 2022 წელს შევსებული დეკლარაციის მიხედვით. ირკვევა, რომ ხათუნა სამნიძე 100%-იანი წილის მფლობელია პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე მდებარე 76 კვ.მ. ფართობის ბინისა, რომელიც 2016 წელს, 82 000 აშშ დოლარად შეუძენია. სხვათა შორის, 2016 წელს შეძენილი ეს ბინა 2017 წლის დეკლარაციაში უნდა ყოფილიყო მითითებული, მაგრამ ასეთი ჩანაწერი არ არის...

2022 წლის დეკლარაციის მიხედვით, ხათუნა სამნიძე 20%-იანი წილის მფლობელია ტაბახმელაში, 1550 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთისა, რომელიც 2021 წელს, 6 000 აშშ დოლარად შეუძენია.

დეკლარაციიდან ირკვევა, რომ თიბისი ბანკში, 62 486 აშშ დოლარის იპოთეკური სესხი ჰქონია.

ხათუნა სამნიძეს, როგორც პარლამენტის პოლიტიკური ჯგუფის თავმჯდომარის წლიური შემოსავალი 53 486 ლარი, ხოლო, როგორც რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის წლიური შემოსავალი – 26 150 ლარი ყოფილა.

რაც შეეხება 2023 წელს შევსებულ დეკლარაციას, დიდად არაფერი შეცვლილა, რადგან სახლი პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე და მიწის ნაკვეთი ტაბახმელაში, რაც წინა წლის დეკლარაციაშიც იყო მითითებული, 2023 წლის დეკლარაციაშიც გვხვდება. უმნიშვნელო ცვლილებაა იპოთეკურ სესხთან დაკავშირებით, თიბისი ბანკში – 2023 წლის მდგომარეობით, სესხის ოდენობა 57 127 აშშ დოლარამდეა შემცირებული.

ხათუნა სამნიძის, როგორც პარლამენტის პოლიტიკური ჯგუფის თავმჯდომარის წლიური ხელფასი 55 313 ლარია, ხოლო, როგორც რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის წლიური შემოსავალი, 2023 წელს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, 15 382 ლარია.

სამართალი

№41 1 ნოემბერი 2023 წ

„გავგუდე!“ – მკვლელის აღიარება

რატომ იძია შური მძღოლმა კოლეგაზე

ბათო ჯაფარიძე

მართალია, ხმამაღლა ამაზე არავინ საუბრობს, მაგრამ საქართველოში საპატრულო პოლიციის შექმნის შემდეგ იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა პატრულის თანამშრომლები ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს. ქრთამად კი ის თანხა ჩაითვალა, რომელიც ან ნასვამმა მძღოლმა მიაწოდა პოლიციელს, ან ვინმემ, ვინც მოძრაობის წესები დაარღვია და 200 თუ 300-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, 100 ლარში გადაწყვიტა გამოძრომა, მაგრამ ეს ერთეული შემთხვევები იყო და საბედნიეროდ, რაც დრო გადის, სულ უფრო ნაკლებად გვხვდება.

სამაგიეროდ, კომუნისტების დროს, „გაიშნიკი“ პირდაპირ იყო აღიარებული მექრთამედ და თუ ის თავის ჭრელ ჯოხს დაიქნევდა, 100-დან 99 შემთხვევაში, მძღოლი იძულებული იყო, თანხა გადაეხადა. ამას შეგუებული იყო ყველა და არც არავინ ჩიოდა – მანეთიანს ყველა ადვილად ელეოდა და თანაც, იმ მანეთიანიდან, წილი ზემოთაც მიდიოდა. ასე განსაჯეთ, ერთ-ერთ პოსტზე, ორი „გაიშნიკის“ დღიური ნორმა 31 მანეთი იყო, მის ზევით რასაც იშოვიდნენ, მათ რჩებოდათ ანუ იმ 31 მანეთის წილი ისე ნაწილდებოდა, რომ ვიღაცასთან ის ნაშთში არსებული მანეთიანიც კი მიდიოდა. სასწაული უნდა მომხდარიყო, ვინმეს რომ ეჩივლა და „გაიშნიკებმაც“ იცოდნენ, ვინ უნდა გაეჩერებინათ – მაღალჩინოსნების მანქანებს ცნობდნენ და ერიდებოდნენ. მეტიც, როცა თანამდებობის პირი გაივლიდა, მის გასახარად, „ჩესტსაც“ კი იღებდნენ.

„მე და ჩემი ქმარი მანქანით მოვდიოდით. „გაიშნიკებმა“ გაგვაჩერეს, გვითხრეს, რომ ზუსტად ჩვენნაირი მანქანით ვიღაცამ კაცი გაიტანა და ისიც გვითხრეს, რომ მანქანას წინა მარჯვენა ფარი ჩაემტვრა. ჩემი ქმარი გადავიდა მანქანიდან და დაანახა, რომ ფარი მთელი იყო, რომ ჩვენი მანქანა მთელი დღე მისი სამსახურის წინ იდგა, რომ იმ გზაზე საერთოდ არ გაგვივლია. ერთ-ერთმა „გაიშნიკმა“ ჩვენს ფარს ქვა მიარტყა, ჩაამტვრია და ღიმილით გვითხრა, ახლა მთავარი ეჭვმიტანილები ხართ და სანამ ფარზე იმ კაცის სისხლიც წავაცხეთ, 150 მანეთი მოგვეცითო. ფული არ გვქონდა, საბუთები გამოგვართვეს და გამოგვიშვეს, რათა ფული მიგვეტანა. გზაზე ვიმსჯელეთ და გადახდა ვამჯობინეთ, თუმცა მეორე დღეს, ჩემმა ქმარმა ვერ მოითმინა და პროკურატურაში წავიდა, „გაიშნიკებს“ უჩივლა და რაც მთავარია, მან სხვებიც აიყოლია. ჩემი ქმარი ავტოფარეხების ამხანაგობის თავმჯდომარე იყო, ბევრ მძღოლს იცნობს და სწორედ მათ უთხრეს კონკრეტულად მათზე, ნამდვილი ყაჩაღები არიანო. საქმე აღიძრა, ისინი სამსახურიდან დაითხოვეს. ერთ საღამოს, სადარბაზოსთან დაგვხვდნენ, ჩვენი ფული მოიტანეს და გვთხოვეს, განცხადება გამოგვეტანა, აქაოდა, შეიძლება ციხეში გაგვიშვანო. ქმარმა არც ფული გამოართვა და არც განცხადება გამოიტანა. ჰოდა, რამდენიმე დღეში, ჩემი ქმარი ნაცემი მოვიდა სახლში, თქვა, რომ „გაიშნიკებს“ ეჩხუბა, მერე კი... მერე გარდაცვლილი იპოვეს. ექსპერტიზის დასკვნით, ზონრით არის გაგუდული, მაგრამ მილიციაში გვითხრეს, „გაიშნიკების“ ბრალეულობა არ იკვეთება, მათ ალიბი აქვთო. არადა, დარწმუნებული ვარ, სწორედ მათ მოკლეს“, – ამ განცხადებით პროკურატურაში მოკლული კაცის ცოლი მივიდა და ტირილით ითხოვდა, სამართალი მაპოვნინეთო.

იმის გათვალისწინებით, თუ ვინ იყვნენ ქალის აზრით ეჭვმიტანილები, საქმე განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანეს. ზემოდან მითითება მარტივი იყო – თუ მართლაც, „გაიშნიკების“ ბრალეულობა გამოიკვეთებოდა, ისინი სამაგალითოდ უნდა დასჯილიყვნენ, რადგან სხვას არ გაებედა ანალოგიურის გაკეთება. ესეც არ იყოს, მომხდარის შემდეგ, სხვა „გაიშნიკებს“ გასაგებად უთხრეს, რომ ცოტა ხანი საგზაო „ხარკის“ აკრეფისგან თავი შეეკავებინათ და დამრღვევი მძღოლებისთვის ოფიციალური ჯარიმა გამოეწერათ. ისინიც ზედმეტად ფრთხილობდნენ და ცდილობდნენ, თვალში ზედმეტად არავის მოხვედროდნენ.

„ჩვენ მართლა ალიბი გვაქვს. ვცემეთ თუ არა ის თავხედი მძღოლი? კი, ვცემეთ, მაგრამ იმის მერე, კარგა ხანს იცოცხლა, ჩვენი ხელთ არ მომკვდარა. რაც შეეხება ალიბის, ჩვენ ერთად ვიყავით მეგობრის შვილის ქორწილში, სადაც პრაქტიკულად, ყველა მაღალჩინოსანი ძალოვანი იმყოფებოდა. ჩვენ კარგად მოვილხინეთ, დავთვერით და მაშინაც კი ვცეკვავდით, როცა სტუმრების ლამის მეათედი იყო დარჩენილი. ამიტომ, ჩვენ ბრალს ვერ დაგვდებთ და სიმართლე გითხრათ, არც გვენანება ის კაცი იმიტომ, რომ ორ ადამიანს აწყობილი ცხოვრება დაუნგრია“, -„გაიშნიკები“ აშკარად „ანგლობდნენ“, რადგან ზუსტად იცოდნენ, მკვლელობას ვერ დაუმტკიცებდნენ და მკვლელები არც იყვნენ.

ცემას რაც შეეხება, მარტივად შეეძლოთ ეთქვათ, კონფლიქტი ყოფით ნიადაგზე მოგვივიდაო და ციხეში არც ამის გამო ჩასვამდა ვინმე.

სამართალდამცავებმა ისიც გაარკვიეს, რომ გარდაცვლილის გარდა, დაზარალებული სხვაც იყო. ერთ-ერთი მძღოლი, რომელმაც ასევე იჩივლა, ახლა ჩადენილს ნანობდა. რატომ? – იმიტომ, რომ ერთ საღამოს ავტომობილი დაუწვეს.

„გარდაცვლილმა ამაგდო და ახლა ვნანობ. მეუბნებოდა, ვიჩივლოთ, სხვა „გაიშნიკები“ მოგვერიდებიანო და საბოლოოდ, რა მივიღე? არც არავინ დაიჭირეს, ის მოკლეს, მე მანქანა დამიწვეს, ვალებით ნაყიდი მანქანა და დამნაშავესაც ვერ პოულობენ. ვიღაცამ ცოცხი დააგდო ჩემს ავტომობილზე, მერე ბენზინი მიასხა, ცეცხლი წაუკიდა და სანამ მეშვიდე სართულიდან პირველზე ჩავედი, მთლიანად, ასანთის ღერივით დაიწვა. არ მაინტერესებს, ვის დასჯიან, დასჯიან თუ არა, მე ახლა მხოლოდ ვალების გასტუმრებაზე ვფიქრობ და არ ვიცი, რა გავაკეთო“, – ლამის ტიროდა კაცი.

ამასობაში, სამართალდამცავებთან გარდაცვლილის მეგობარი მივიდა და საინტერესო ინფორმაციაც მიაწოდა. როგორც გაირკვა, ავტოფარეხების გაერთიანება 50-ზე მეტ ადამიანს ითვლიდა და ისინი აპირებდნენ, მთელი ტერიტორია, სადაც ავტოფარეხები იყო განლაგებული, შემოეღობათ, საყარაულო ჯიხურიც ჩაედგათ, ყარაულიც დაექირავებინათ და ამისთვის ფულს აგროვებდნენ. ყველა მძღოლი ყოველთვიურად დებდა გარკვეულ თანხას და როგორც გაირკვა, საერთო ჯამში, თითქმის 5 ათას მანეთამდე აგროვდა. ეს უზარმაზარი თანხა იყო და ძალიან დიდი გახლდათ იმის ალბათობა, რომ კაცი, სწორედ ამ თანხის გამო მოეკლათ. საქმე ის გახლდათ, რომ ფული გარდაცვლილის ავტოფარეხში, იატაკში ჩაბეტონებულ სეიფში ინახებოდა, მისი გასაღები კი, სწორედ მოკლულსა და კიდევ ერთ მძღოლს ჰქონდათ. მძღოლებმა გადაწყვიტეს, ფულისთვის ადგილი შეეცვალათ, ან სამუშაოები ახლავე დაეწყოთ, სეიფი გააღეს, იქ კი თანხა არ აღმოჩნდა.

„მეუღლესთან მივედით და მან დაგვიდასტურა, რომ ავტოფარეხისა და სეიფის გასაღები ქმარს მუდმივად თან ჰქონდა, იმ დღესაც, როცა ავტოფარეხში გაგუდეს, გასაღები თან წაიღო, მაგრამ სეიფის გასაღები გაქრა, სავარაუდოდ, ფულთან ერთად, მკვლელმა ხელს გააყოლა. სამწუხაროდ, იქ ფულს რომ ვინახავდით, ყველამ იცოდა, მძღოლებს ვგულისხმობ, ავტოფარეხების ამხანაგობას და ეს ყველაზე ცოტა, ასი კაცია. მართალია, გაერთიანებაში 50 ვართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სახლში მეუღლეებისთვის ყველას ჰქონდა ნათქვამი, რომ ფულს აგროვებდნენ, მეუღლეებს – ალბათ, დაქალებისთვის და ასე დაუსრულებლად“, – ამბობდა ის მძღოლი, რომელსაც სეიფის მეორე გასაღები ებარა და... მთავარი ეჭვმიტანილიც ის იყო. ხომ შეიძლებოდა, ყველაფერი მას მოეწყო და თანხა, უბრალოდ, წაეღო, მერე კი ჭირისუფლის როლი ეთამაშა. მისი გადამოწმება დაიწყო და მეტიც, მის ბინაში ჩხრეკაც ჩატარდა, რამაც ეჭვმიტანილი ძალიან გაანაწყენა, ფულის გულისთვის კაცს როგორ მოვკლავდი, ადამიანი ვარ, მხეცი კი არაო. ბინაში ვერაფერი იპოვნეს და დაიწყო ხანგრძლივი პროცესი ავტოფარეხების ამხანაგობის ყველა წევრის გადამოწმების, თუმცა გამომძიებლებმა იცოდნენ, რომ თივის ზვინში ნემსს ეძებდნენ და პოვნის შანსი თითქმის ნული იყო. ამის მიუხედავად, მათ სხვა გზა, უბრალოდ, არ ჰქონდათ და...

„კაცმა, რომელსაც მანქანა დაუწვეს, ვალიც გადაიხადა და ახალი მანქანაც შეიძინა. სამსახური არ აქვს ისეთი, ეს ხელფასით რომ მოეხერხებინა და არც მემკვიდრეობა მიუღია“, – თქვა ერთ-ერთმა ოპერმუშაკმა დილის თათბირზე და ძალოვნები მთლიანად მასზე გადაერთნენ. ადვილი მისახვედრი იყო, რომ დაკითხვაზე, სამხილის გარეშე, ის არაფერს იტყოდა, აი, სამხილი კი... როცა შინ არ იყო, მის ბინასა და ავტოფარეხში ფარული ჩხრეკა ჩაატარეს, თუმცა ვერაფერი იპოვეს. ამიტომ, გამოძიება ავანტურაზე წავიდა და მის ავტოფარეხში, მალულად, სეიფის გასაღები დადო, მერე კი ოფიციალური ჩხრეკით მიადგა. კაცმა სახლიცა და ავტოფარეხიც თამამად გაუღო, მაგრამ როცა სამართალდამცავებმა სეიფის გასაღები იპოვეს, გაოცებისგან პირი დააღო, თავი ვერ შეიკავა და პირგამშრალმა წარმოთქვა – „შეუძლებელია, ის ხომ გადავაგდე“ და სანამ გამშრალ პირს დაკეტავდა, უკვე ხელბორკილი ედო და მანქანაში სვამდნენ.

„რა უნდა მექნა? იმ იდიოტის გამო, მანქანაც დავკარგე და ვალიც ავიკიდე. ამიტომ, მასთან მივედი და მოვთხოვე, შენი ბრალია და ვალი მაინც გადამიხადე-მეთქი, რაზეც უარი მითხრა. მერე შევყევით, თავი ვერ შევიკავე და გავგუდე. ვიცოდი, რომ სეიფში ფული იყო, ავიღე და.. ახლაც ვთვლი, რომ სწორად მოვიქეცი, მეკუთვნოდა“, – განაცხადა დაკავებულმა, რომელსაც სასამართლომ 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

19 წლის გოგომ დედინაცვალი მოკლა

როგორ დაეხმარა გამოძიებას მოხუცი მამაკაცი

ბათო ჯაფარიძე

კორპუსის ამხანაგობა ჩვენში თითქოს ახალი ხილია. მართალია, რამდენიმე წელია, კორპუსებს ამხანაგობა აქვთ და თავმჯდომარეც ჰყავთ, მაგრამ რეალურად, ბოლომდე გათავისებული არავის აქვს ამ „თანამდებობის“ მნიშვნელობა და არც ის, რომ ამხანაგობის თავმჯდომარე, შესაძლოა, ერთ-ერთი გადამწყვეტი რგოლის შემსრულებელი იყოს ადგილობრივ თვითმმართველობაში.

„ჩემი მეუღლე დაიკარგა. ის სამი თვეა, რაც ამხანაგობის თავმჯდომარედ აირჩიეს და დარწმუნებული ვარ, მისი გაქრობა ამას უკავშირდება. მან თვითმმართველობაში არაერთი დარღვევა აღმოაჩინა, კორპუსის საკუთრებაში არსებული მიწების გასხვისებაში დასდო ბრალი, ყველა მაცხოვრებელი აიყოლია, სასამართლოში აპირებდა ჩივილს, სარჩელს თავად ამზადებდა და ეს იცოდა ყველამ, ამიტომ, გააქრეს. ალბათ, მოკლეს, სადმე გადააგდეს“, – პოლიციის განყოფილებაში მამაკაცი მივიდა, რომელიც ცოლს ეძებდა.

რა თქმა უნდა, ქალზე ძებნა მაშინვე გამოცხადდა და პარალელურ რეჟიმში, დაიწყო იმ საკითხის შესწავლა, რომელზეც ქმარი უთითებდა. მართლაც, ადგილობრივ თვითმმართველობას კორპუსის კუთვნილი ტერიტორია ჰქონდა გაყიდული და ძალიან დიდი ალბათობით, ამის გამო, თვითმმართველობაში ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურების უფროსების პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა, მაგრამ არც ის იყო გამორიცხული, რომ პასუხისგებაში მერი და მისი მოადგილეები მიეცათ. საქმეში ჩაერთო ანტიკორუფციული ბიუროც, მაგრამ როგორც კი საკითხის გასარკვევად მერიაში მივიდნენ, მიხვდნენ, მათ ქალის გაქრობასთან კავშირი არ ჰქონდათ.

„ვერ გეტყვით, რის იმედად აპირებდა ის ქალი ჩივილს, მაგრამ სანამ ამ კორპუსში გადმოვიდოდა, მანამდე ამხანაგობის თავმჯდომარე სხვა იყო, რომელსაც ოფიციალურად შევუთანხმდით, რომ კორპუსის საკუთრებაში არსებული მიწა გადაეცემოდა მერიას, სანაცვლოდ კი, მერიის კუთვნილ მიწაზე, კორპუსის მიმდებარედ, გაკეთდებოდა სკვერი. სკვერი გაკეთდა, მიწა გადმოგვეცა, ის აუქციონზე გაიყიდა და აგერ, მობინადრეთა ხელმოწერები თანხმობაზე. იმ ქალმა რამდენიმე მობინადრე აიყოლია, აქაოდა, არ ვიცოდით, ხელს რაზე ვაწერდითო, მაგრამ ეს სისულელეა. მერიის თანამშრომლებმა რამდენიმე შეხვედრა ჩაატარეს კორპუსის მაცხოვრებლებთან და სკვერში დასადგმელი სკამის ფერებიც კი შეათანხმეს“, – განაცხადეს მერიაში და საბუთებიც წარადგინეს.

შეუძლებელი იყო, ყველაფერი ეს, იმ კაცს არ სცოდნოდა, რომელიც ხელს მერიას ადებდა, მით უმეტეს, მერიის შეთავაზებაზე მისი ხელმოწერაც იყო, მაგრამ მან მხრები აიჩეჩა: „დაკარგული ჩემი მეორე ცოლია. პირველ ცოლს რომ დავშორდი, ხელი მაშინ მოვაწერე, მერე სხვა ცოლი მოივყვანე, ის ძალიან აქტიური ქალია, ამხანაგობის თავმჯდომარე გახდა და აგვიხსნა, რომ მოგვატყეს. მისი მჯეროდა და მჯერა“...

ქალის გაუჩინარების ამბავს ძალიან მშვიდად შეხვდა ის ბიზნესმენიც, რომელმაც აუქციონზე გამოტანილი მიწა იყიდა და იქ ბიზნეს-ცენტრი ააშენა. დოკუმენტებით მასაც ყველაფერი რიგზე ჰქონდა და ყოველი შემთხვევისთვის, სამართალდამცავებმა ყველა დოკუმენტი, როგორც ადვოკატებს, ისე მოსამართლესა და პროკურორს აჩვენეს. ყველამ ერთხმად თქვა, რომ ქალს საქმის მოგების შანსი არ ჰქონდა და შეუძლებელია, ეს იმავე ბიზნესმენსა და მერიას დაზუსტებით არ სცოდნოდათ. ამიტომ, ქალის გატაცება მათ არაფერში სჭირდებოდათ და აშკარად ეტყობოდათ კიდეც, რომ საქმის კურსში არ იყვნენ.

რამდენიმე მეზობელმა თქვა, მაგ კაცის პირველი ცოლი კარგი თავქარიანი ვინმე იყო, რომ დაშორდნენ, შვილიც კი არ წაიყვანა, ისიც კაცს შეატოვა და ისე წავიდაო. ამიტომ, მისი დაკითხვაც გადაწყდა და როცა ყოფილი ქმრის მოქმედი ცოლის დაკარგვის შესახებ შეიტყო, ბევრი იცინა, რა შტერი ყოფილა, ქმარი ვაჩუქე და ვერ შეირგოო. მერე სამართალდამცავებს მშვიდად უთხრა, მე რაც ქმარს დავშორდი, სამი კაცი გამოვიცვალე, გაჩერებას არ ვაპირებ, ათ ამდენს კიდევ გამოვიცვლი, ერთხელ გავჩნდი ამ ქვეყნად და ბოლომდე მინდა ვისიამოვნო, ამიტომ სულ ცალ ფეხზე მკიდია, ვინ დაიკარგა, ან არ დაიკარგაო. ძალოვნებმა გოგონაც დაკითხეს. 19 წლის გოგო ამბობდა, რომ დედინაცვალთან გადასარევი ურთიერთობა ჰქონდა, რომ ნამდვილ დედას ვერაფერი გაუგო, სახლიდან მისი წასვლის შემდეგ, ერთადერთხელ ნახა, შეხვდა, ესაუბრა, მაგრამ დედამ უთხრა, შენთვის არ მცალია და სჯობს, ჩემი არსებობა დაივიწყოო. ამიტომ, გოგონა მთლიანად დედინაცვალს ჩამოეკიდა და ახლა ისიც გაქრა.

განცხადების შეტანიდან მესამე დღეს, მუნიციპალიტეტთან ახლოს, ტყის ზოლში, გარდაცვლილი ქალის სხეული იპოვეს. ამოცნობის ჩატარება საჭირო არც იყო – მას ჯიბეში პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ედო და ეს სწორედ ის ქალი გახლდათ, რომელსაც სამართალდამცავები ეძებდნენ. რა თქმა უნდა, ამოცნობის პროცედურა ფორმალურად მაინც ჩატარდა და მამა-შვილმა ცოლი და დედინაცვალი ამოიცნეს. ექსპერტიზის დასკვნით, ქალი უცნაურად გარდაიცვალა – მას პირი სამედიცინო წებოვანი ლენტით აუკრეს, იმავე ლენტით შეუკრეს ხელები და ფეხები, რის შემდეგაც ტყეში დატოვეს. ქალი არაფერზე იყო მიბმული, მაგრამ ხელ-ფეხშეკრული ვერ მოძრაობდა და გზამდე გასვლა ვერ მოახერხა. ის უბრალოდ უჟანგბადობით გარდაიცვალა, სავარაუდოდ, ხოხვას ცდილობდა, ცხვირით კი ორგანიზმს საკმარისი ჟანგბადი ვერ მიაწოდა. ვიღაცამ ასე სასტიკად გაიმეტა ქალი, რომელიც რეალურად არავის არაფერს უშავებდა.

გამომძიებლებმა ის კაცი ნახეს, რომელმაც გვამი იპოვა – ჩვეულებრივი გლეხი, რომელიც ტყეში, სოკოს საკრეფად იყო წასული და თქვა, რომ საეჭვო არავინ და არაფერი დაუნახავს, როგორც კი ქალი დაინახა, პულსიც არ გაუსინჯავს, ფერზე მიხვდა, რომ მკვდარი იყო და მაშინვე პოლიციაში დარეკა. მისი წარსული მაინც გადაამოწმეს, მაგრამ საეჭვო ვერაფერი ნახეს. გამოძიება არათუ ჩიხში იყო შესული, არამედ, ხელჩასაჭიდიც არაფერი ჰქონდა. სამედიცინო წებოვან ლენტზე კი იყო სავარაუდო მკვლელის ორგანული ნიმუში, მაგრამ ვინ უნდა ეძებნათ, რატომ უნდა ეძებნათ... ექსპერტები ამ ნიმუშს უკირკიტებდნენ და მეოთხე დღეს, გამოძიებამ ფასდაუდებელი ინფორმაცია მიიღო – წებოვან ლენტზე არსებული ნიმუში მდედრობითი სქესის წარმომადგენელს ეკუთვნოდა. ქალი იყო მკვლელი? ეს რაღაც ახალი გალდათ. ეგებ, ვინმეს ცოლგაშვებული კაცი თვალში მოუვიდა, მან კი სხვისი მოყვანა ამჯობინა. მამაკაცი კიდევ ერთხელ დაკითხეს, მაგრამ მან მხრები აიჩეჩა, არავინ მეგულება ისეთი, ჩემზე რომ გიჟდებოდეს და მით უმეტეს, ამის გამო, ჩემი მეორე ცოლი მოეკლაო. მართლაც, ამის დაჯერება ცოტა რთული იყო და რაც მთავარია, გამომძიებლების ვერსიებს ცივი წყალი ექსპერტმაც გადაასხა – ეგებ, ლენტზე აღმოჩენილი ქალის ნიმუში სულაც აფთიაქარისაა, რომელიც შემთხვევით შეეხოო. წებოვანი ლენტის სისქე თუ განი რომ აჩვენონ ხოლმე კლიენტებს, ფარმაცევტებმა არცთუ იშვიათად იციან ლენტის ყუთიდან ამოღება, კლიენტისთვის ჩვენება... თანაც, ის ლენტი (ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, ოდნავ ფართო „ლეიკოპლასტი“), პრაქტიკულად, ყველა აფთიაქში იყიდებოდა და ასე მყიდველის პოვნა გაჭირდებოდა. ჰოდა, ყველასთვის მოულოდნელად, პოლიციაში დაახლოებით, 80 წელს მიღწეული მამაკაცი გამოცხადდა და იმ საქმის გამომძიებელი იკითხა, რომელიც ტყეში ნაპოვნი ქალის საქმეს იძიებდა.

„მაინტერესებდა, მოახერხებდით თუ არა მკვლელის პოვნას. ვერ მოახერხეთ. ამდენხანს გელოდეთ და ვერ მოახერხეთ. არადა, მკვლელობის დღეს, მე ისინი ტყეში ვნახე, ის და მისი მკვლელი, ანგელოზისსახიანი მკვლელი. მერე ყველაფერს ტელევიზიით ვუყურე და მივხვდი, რომ ის ქალი, სწორედ მან მოკლა, ვინც ახლდა. არადა, რა ტკბილად საუბრობდნენ... რატომ ვიყავი ამდენ ხანს მშვიდად? იმიტომ, რომ ზუსტად ვიცი, ის ვერსად გაიქცევა. არ ვიცი, ვინაა, მაგრამ მანახეთ იმ ქალის ძალიან კარგი ნაცნობი ახალგაზრდა ქალები, თუ გოგონები და მე მკვლელს ამოვიცნობ“, – ამბობდა მისული.

როგორც მისი მონაყოლიდან ირკვეოდა, მკვლელობის დღეს, მან გარდაცვლილი, ვიღაც ახალგაზრდა მანდილოსანთან ერთად, ტყეში ნახა, მაგრამ ეს ამბავი დაავიწყდა კიდეც, სანამ ტელევიზიით თვალი არ მოკრა კრიმინალურ ქრონიკას, რომელშიც გარდაცვლილ ქალზე საუბრობდნენ და სწორედ ის ქალი ამოიცნო. ლოგიკურად იმსჯელა და მიხვდა, რომ სწორედ მკვლელსა და მსხვერპლს გადააწყდა იმ დღეს, მაგრამ მაინც დაელოდა და როგორც თავად ამბობდა, გამოძიებას აცადა...

სამართალდამცავებმა განყოფილებაში მამა-შვილი დაიბარეს, სურდათ, ოქროს მოწმისთვის ორივეს მოესმინა და ეგებ, ქალის აღწერილობით მიმხვდარიყვნენ, ვისზე იყო საუბარი. როგორც კი მამა-შვილი ოთახში შევიდა, მოწმემ გაოცებისგან პირი დააღო, მერე კი გამომძიებელს მიუბრუნდა და ტაში დაუკრა – „არ მეგონა, თუ პირველივე ცდიდან გაარტყამდით, მკვლელი სწორედ ეს გოგონაა“... ყველამ პირი დააღო, მაგრამ ორიოდ საათში, ექსპერტიზამ დაადასტურა – წებოვან ლენტზე, სწორედ გარდაცვლილის გერის ბიოლოგიური კვალი იყო.

„მე მოკვლა არ მინდოდა, დასჯა მინდოდა და დასჯა იმისთვის, რაც მან გააკეთა. მას შემდეგ, რაც სახლიდან დედა გაიქცა, მამამ მთელი თავისუფალი დრო მე დამითმო ანუ ის, რაც ასე მაკლდა. სულ ერთად ვიყავით, მერე კი ეს გამოჩნდა და ყველაფერი აირია. მამას საერთოდ აღარ ვახსოვდი, მეტიც, მეუბნებოდა, ეგებ, სადმე ერთოთახიანი გიყიდო, ცალკე რომ იცხოვრო, უკვე ისეთ ასაკში ხარ, მეტი თავისუფლება გინდაო. არადა, მე მშობლები მჭირდებოდა, ის კი სახლიდან მაგდებდა. არ მეგონა, თუ მოკვდებოდა, მინდოდა, ამ ნაბიჯით მამისთვის თვალი ამეხილა“, – ტიროდა გოგონა, რომელსაც სასამართლომ გაუფრთხილებელი მკვლელობისთვის 6 წელი მიუსაჯა.

ბათო ჯაფარიძე

ნარკოტიკებმა იმდენად მყარად დაიმკვიდრა ჩვენს ყოველდღიურობაში ადგილი, რომ დღე არ გავა, ნარკოტიკის ან მისი რომელიმე მომხმარებლის შესახებ სადმე, რამეს ყური არ მოვკრათ. მწარე რეალობაა – ნარკოტიკს მოიხმარენ ყველგან და რაც მთავარია, მომხმარებელთა ასაკმა ძალიან დაიწია, არასრულწლოვნებისთვის ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი თემა გახდა „მარიხუანას“ თუ საკლუბო ნარკოტიკის მოხმარება და პრაქტიკულად, ამ პროცესს ხელს ვერ ვუშლით. დიდ ქალაქებზე არანაკლებ საგანგაშო ვითარებაა სოფლებშიც, იმ განსხვავებით, რომ სოფლებში უფრო „ნატურალურ ნაარკოტიკს“ იღებენ და უმუშევრობით, არაფრისკეთებით „დაკავებული“ ახალგაზრდები, ალკოჰოლით, ან ნარკოტიკებით ერთობიან. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და რაც ტურისტულ რელსებზე გადაერთო საქართველო, რაც სოფლებში ფული სწორედ ტურიზმით შევიდა, მიწასთან ურთიერთობას გადაეჩვია ხალხი. კაცი, რომელსაც ადრე 10 ტონა კარტოფილი მოჰყავდა, ახლა თურქეთიდან შემოტანილ კარტოფილს ყიდულობს და იმას აჭმევს ტურისტებს. ამიტომაცაა, ყოველწლიურად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემოტანის მხრივ რეკორდებს რომ ვხსნით და კარტოფილს თუ ხახვს ვინ ჩივის, მწვანილიც კი უკვე უცხოეთიდან შემოგვაქვს და სოფლებში, სახლის კუთხეში საყვარლად აბიბინებული ბოსტნები უბრალოდ გაქრა...

„ვამპირი ვარ!“

დეიდა ახალგაზრდა მამაკაცს რუსეთიდან ჩამოტანილი სოკოთი წამლავდა

სამართალდამცავ ორგანოებს ახალგაზრდა გოგონამ მიმართა და სთხოვა, ეგებ, დამეხმაროთ, ჩემი საქმრო ბოლო დროს საკუთარ თავს აღარ ჰგავს, სასწაულებს აკეთებს და ცოტა არ იყოს, მისი მეშინია კიდეცო. გოგონასთან ერთად, განყოფილებაში დედამისიც იყო მისული და ქალიც აშკარად ნერვიულობდა – ჩემი შვილის მეგობარი უწესიერესი, უპატიოსნესი ბიჭი იყო, ახლა კი არ ვიცით, რა ემართებაო. გოგოცა და ბიჭიც ქიმიის ფაკულტეტზე სწავლობდნენ და გოგონამ ისიც გაიხსენა, როგორ უთხრა რამდენიმე დღის წინ ქიმიის ლექტორმა ბიჭს, თუ იმას, რაც ჩვენს შორის მოხდა, სადმე იტყვი, მოგკლავო.

„ქიმიის ლექტორი ახალგაზრდა და ძალიან სიმპატიურია, მაგრამ მხოლოდ ბიჭებთან მეგობრობს. ლექციების შემდეგაც, მასთან ლაბორატორიაში მხოლოდ ბიჭები რჩებიან და რამდენჯერაც გოგონებმაც გამოვთქვით სურვილი, რომ დავრჩენილიყავით და ცდებისთვის გვეყურებინა, იმდენჯერ უარი მივიღეთ. მგონია, რომ ის უბრალოდ, „ცისფერია“ და სტუდენტ ბიჭებს აბამს“, – თქვა გოგონამ.

რაც შეეხება მეგობარი ბიჭის უცნაურ ქცევას, მას მუდმივად რაღაცები ეჩვენებოდა. ხან ეჩვენებოდა, რომ მოსაკლავად მისდევდნენ, ხან ფიქრობდა, რომ ირგვლივ გვამები დადიოდნენ და მათ გაურბოდა, ხან მანქანას უვარდებოდა... არადა, ადრე ასე არ იყო. ძალოვნებმა, პირველ რიგში, ლექტორი მოიკითხეს.

„სისულელეა... რა ჰომოსექსუალი და „გეი“? მე ამ ბიჭებისთვის უფროსი ძმასავით ვარ, მინდა, რომ ქიმიაში ბევრი იცოდნენ და ამიტომ, დამატებით ვამეცადინებ. რაც შეეხება გოგონებს... სწორად გამიგეთ, მე სიმპატიური და წარმატებული კაცი ვარ, რამდენ გოგოსაც გავუმართე ხელი სწავლაში, იმდენმა სიყვარულის ახსნა დამიწყო. შარია გოგონებთან ურთიერთობა და ამიტომ, გადავწყვიტე, მათ დამატებითი გაკვეთილები არ ჩავუტარო. წინა სასწავლებლიდანაც იმიტომ წამოვედი, რომ ერთ-ერთმა გოგონამ, ჩემი უარის გამო, თავის მოკვლა გადაწყვიტა. ამასთან ერთად, მე მყავს საცოლე, ქორწილიც მალე მექნება და სურვილი არ მაქვს, სტუდენტებთან რომანი გავაბა“, – განაცხადა ქიმიის ლექტორმა, თუმცა აშკარა იყო, რაღაცას მალავდა და ის რაღაც სტუდენტებს უნდა ეთქვათ.

გამომძიებლებმა სხვა განყოფილებებთან გადაამოწმეს, ხომ არ იყვნენ სტუდენტები რამე კრიმინალში შემჩნეულნი და ოპერმუშაკებმა თქვეს, რომ ისინი მსუბუქ ნარკოტიკს ყიდდნენ, თუმცა თან მუდმივად მცირე ოდენობა ჰქონდათ და ვერ აპატიმრებდნენ. ერთ-ერთი სტუდენტი, რომლის ძმაც სასჯელს იხდიდა, დაკითხვაზე დაიბარეს და დაპირდნენ, თუ ლექტორის საიდუმლოს გაამხელდა, ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისია მის ძმაზე დადებით პასუხს გასცემდა.

„ლექტორი კლუბურ ნარკოტიკს პირდაპირ ლაბორატორიაში ამზადებს, მერე ჩვენ ვასაღებთ და ფული მიგვაქვს. სანაცვლოდ, ქიმიაში არათუ კარგ ნიშანს, არამედ, რამდენიმე ისეთ ელემენტსაც გასწავლით, საკურსოს მარტივად დაიცავთო. იმ ბიჭმა კიდევ, გაყიდვაზე უარი თქვა და ამის გამო, ლექტორი ეჩხუბებოდა. სპეცოპერაცია მარტივად დაიგეგმა და ლექტორს პირდაპირ ლაბორატორიაში დაადგნენ. ექსპერტებმა ნარკოტიკების დამზადებისთვის საჭირო არაერთი ნივთიერება ამოიღეს, ამოიღეს უკვე მზა ნარკოტიკიც და ლექტორი შენობიდან ბორკილდადებული გაიყვანეს. გაჩნდა ეჭვი, რომ ბიჭი, რომელზეც მისი მეგობარი გოგონა ჩიოდა, სწორედ ამ ნარკოტიკებს იღებდა და ამიტომ, მას სისხლის ანალიზი ჩაუტარეს. თავად ბიჭი გაოცებული იყო, არაფერი მჭირსო, მაგრამ სისხლის ანალიზმა აჩვენა, რომ მის ორგანიზმში გაურკვეველი წარმოშობის ნარკოტიკული საშუალებები იყო ჭარბი ოდენობით და ეს ნივთიერებები ჰალუცინაციებს იწვევდა.

„საქართველოში იშვიათად გვხვდება ისეთი სოკოები, რომლებიც ჰალუცინაციებს იწვევენ. ისინი უფრო რუსეთის ტყეებშია და იქიდან კონტრაბანდულად შემოაქვთ. მეტიც, შემოაქვთ, როგორც კონსერვები, მერე აქ აშრობენ, ახმობენ და როგორც ნარკოტიკს, ისე ხმარობენ. რასაც ეს გოგო ჰყვება, ასეთ ჰალუცინაციებს სწორედ მომწამვლელი სოკოები იწვევენ“, – უთხრა ექსპერტმა გამომძიებელს.

ბიჭი ჯიუტად ამტკიცებდა, სოკოებსა და ნარკოტიკს არ ვიღებ, მეტიც, ვვარჯიშობ და ნარკოტიკები რომ მდომოდა, ქიმიის ლექტორს უარს კი არ ვეტყოდი, უფასოდ მექნებოდა, რაღაცას იგონებთო. ექიმებმა ბიჭს ორი დღის განმავლობაში რამდენიმე გადასხმა გაუკეთეს, სისხლი გაუწმინდეს და შინ გაუშვეს. ამ ამბიდან სამი დღე გავიდა და გოგონა ისევ განყოფილებაში მივიდა – ამჯერად, შეხვეული ყელით. როგორც გაირკვა, მეგობარმა ბიჭმა მას სწორედ ყელზე უკბინა, თან ყვიროდა, ვამპირი ვარო. ბიჭი სხვა განყოფილების ოპერებმა წაიყვანეს, გოგო კი ძველ ნაცნობებთან მივიდა და კვლავ შველა სთხოვა. სისხლის ანალიზმა ბიჭის ორგანიზმში იგივე შემადგენლობის ჰალუცინოგენები აჩვენა.

„არ ვიცი, რა გავაკეთო. ვცხოვრობ ჩვეულებრივად, ვიკვებები ჩვეულებრივად, არ ვიღებ ნარკოტიკს და ფაქტია, რაღაც ხდება. რაც მთავარია, მე არ მახსოვს, რას ვაკეთებ, მაგრამ მჯერა, რომ ვაკეთებ, რადგან ის ადამიანები მეუბნებიან, რომლებსაც ვენდობი“, – განაცხადა ბიჭმა.

გადაწყდა, მისი სახლი შეემოწმებინათ, მაგრამ იქ ვერაფერი აღმოაჩინეს. ბიჭი მარტო ცხოვრობდა, დედ-მამა ავარიაში დაეღუპა და დეიდა პატრონობდა. დეიდასა და მის ქმარს შვილი არ ჰყავდათ და ამიტომ, ობოლ ბიჭს საკუთარივით უვლიდნენ. დილით, სანამ ის სასწავლებელში წავიდოდა, დეიდა მასთან მისვლას ასწრებდა, საუზმეს უმზადებდა, სახლს ულაგებდა და საღამოს შინ დაბრუნებულ დისშვილს ცხელ ვახშამსაც ახვედრებდა. ერთი შეხედვით, გამორიცხული იყო, დეიდას დისშვილის მიმართ რამე ინტერესი ჰქონოდა, მას მეუღლესთან ერთად ცალკე ჰქონდა ბინა, შვილიც არ ჰყავდათ და ერთადერთი პატრონი თუ იმედი, სწორედ ეს ბიჭი იყო. ამის მიუხედავად, სამართალდამცავებმა... დეიდის სახლის ჩხრეკაც გადაწყვიტეს და თავს მოულოდნელად დაადგნენ. სამზარეულოში, ცელოფანში, წვრილად დაფქული რაღაც მუქი ნივთერება ნახეს. ერთ-ერთმა გამომძიებელმა დაყნოსა და საზეიმო ხმით თქვა – სოკოს სუნი აქვს. ექსპერტიზამ მალე დაადგინა, რომ ბიჭი სწორედ ამ ფხვნილით იწამლებოდა.

„ღმერთმა შვილი არ მომცა და ამიტომ, დისშვილზე ვზრუნავდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ცხოვრება უსამართლოა და მისგან მეტი უნდა მიმეღო. გადაწყეტილი მქონდა, მთელი დარჩენილი ცხოვრება უზრუნველად გამეტარებინა, სადმე მემოგზაურა, ჩემი სამოთახიანი ბინა გამეყიდა, ერთოთახიანი მეყიდა, ზედ ის ფული დამემატებინა, რომელსაც ჩემის დისშვილის ბინის გაყიდვის შემდეგ მომცემდნენ. ამიტომ, მისი მოწამვლა გადავწყვიტე. ეს სოკო ადრე რუსეთიდან ჩამოიტანა ჩემმა ქმარმა, რაღაცას შველისო, მაგრამ კინაღამ დავიხოცეთ. ამიტომაც, სწორედ ამ სოკოთი გადავწყვიტე მომეწამლა. მე არ ვიცი შვილის სიყვარული, საკუთარ თავზე ზრუნვას მივეჩვიე და ამიტომ გავაკეთე ის, რაც გავაკეთე. ჩემი ქმარი არაფრის აზრზე არ იყო, თორემ ნებას არ მომცემდა“, – განაცხადა დაკითხვისას ქალმა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ქმარიც საქმის კურსში იყო და ცოლს ჩანაფიქრის განხორციელებაში ხელს არ უშლიდა. სასამართლომ მკვლელობის მცდელობისთვის დეიდას 6 წელი მისცა, დანაშაულის დამალვისთვის კი ქმარს 3 წელი ერგო. დისშვილს არც ციხეში და არც იქიდან გამოსვლის შემდეგ, დეიდასთან კონტაქტი აღარ ჰქონია.

ვახტანგ გომელაურმა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის ახლადშექმნილი დეპარტამენტისთვის განკუთვნილი შენობა გახსნა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, პოლიციის ახლადშექმნილი დეპარტამენტისთვის განკუთვნილი შენობა გახსნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი დამოუკიდებელ ერთეულად გამოეყო.

ვახტანგ გომელაურმა შენობა პირველ მოადგილესთან შალვა ბედოიძესთან, მოადგილეებთან – იოსებ ჭელიძესთან, გიორგი ბუთხუზთან, ალექსანდრე დარახველიძესთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად დაათვალიერა. ღონისძიებას, ასევე დაესწრნენ და პოლიციის ახალი შენობა დაათვალიერეს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა პაპუნა მარგველიძემ, მაჟორიტარმა დეპუტატმა გოჩა ენუქიძემ და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა ზვიად მხეიძემ.

პოლიციის ახალი შენობის დათვალიერების შემდეგ, ვახტანგ გომელაურმა თანამშრომლებთან სამუშაო თათბირი გამართა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად ლევან დარახველიძე წარადგინა. მინისტრმა მას წარმატებები უსურვა. ლევან დარახველიძეს ამ დრომდე იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის შექმნის მიზანია, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ საპოლიციო საქმიანობის, დანაშაულის პრევენციის, რეგიონში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის კიდევ უფრო ეფექტიანად განხორციელება და მოქალაქეებისთვის საპოლიციო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის შექმნის შედეგად, რეგიონს 130-მდე საშტატო ერთეული დაემატება. ადგილზე დასაქმებული სამართალდამცველები 4 მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს მოემსახურებიან.

პოლიციის ახალი შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენდა და უახლესი ინვენტარით არის აღჭურვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლებაა, რომლის ფარგლებში, პოლიციელთა სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისა და მოქალაქეებისთვის ეფექტიანი საპოლიციო მომსახურების მიზნით, საქართველოს მასშტაბით, ბოლო წლებში, პოლიციის არაერთი ახალი შენობა გაიხსნა.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტს ლევან დარახველიძე უხელმძღვანელებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის ახლადშექმნილი დეპარტამენტის დირექტორად პოლიციის პოლკოვნიკი, ლევან დარახველიძე დაინიშნა. ამ დრომდე მას იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

ლევან დარახველიძე შინაგან საქმეთა სამინისტროში, 2005 წლიდან, სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა.

გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი ი.გ., ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის ავტომობილის, საცხოვრებელი სახლისა და სამუშაო ოთახის ჩხრეკის შედეგად, დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის უაქციზო სიგარეტი, ცეცხლსასროლი იარაღები, ვაზნები, მჭიდები და ფული ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-3 და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს.

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებულს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

როგორც გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2023 წლის 26 იანვარს, თბილისში, ბრალდებულმა, შურისძიების მოტივით, ორ დაზარალებულს დანით სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები მიაყენა. დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შედეგად, დაზარალებულები სიკვდილს გადაურჩნენ.

„დანაშაულის ჩამდენ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით (ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

გენერალური პროკურორის განცხადებით, შოვში მომხდარ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდგომ, საზოგადოებას ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდიან

საქართველოს გენერალური პროკურორის, ირაკლი შოთაძის განცხადებით, შოვში მომხდარ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდგომ, საზოგადოებას ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდიან. როგორც ირაკლი შოთაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, განსაჯაროვდება მასალებიც.

„უპირველეს ყოვლისა, თითოეული გარდაცვლილის ოჯახს მივუსამძიმრებ ამ უდიდესი ტრაგედიის გამო, რაც რაჭაში დატრიალდა. გამოძიება მიმდინარეობს შსს-ში, შექმნილია საგამოძიებო ჯგუფი, ასეულობით მოქალაქეა უკვე დაკითხული, დანიშნულია მთელი რიგი ექსპერტიზები და დაზარალებულებს, დაზარალებულის უფლებამონაცვლეებს წვდომა აქვთ სისხლის სამართლის მასალებზე. ისინი ჩართულნი არიან გამოძიების პროცესში და თითოეული მათი შუამდგომლობა თუ წინადადება, სხვადასხვა საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებებთან გათვალისწინებულია. რაც შეეხება გამოძიების შედეგებს, გამოძიება მიმდინარეობს ინტენსიურად და საზოგადოებას გამოძიების დასრულების შემდგომ, აუცილებლად მივაწვდით დეტალურ და ამომწურავ ინფორმაციას გამოძიების შედეგების შესახებ, მათ შორის მასალებსაც, რა თქმა უნდა. იქ ძალიან დეტალური ინფორმაცია მიეწოდება საზოგადოებას გამოძიების შედეგების შესახებ“, – განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

ცნობისთვის, შოვში მეწყერი 3 აგვისტოს ჩამოწვა. სტიქიის შედეგად დაღუპული 32 ადამიანის ცხედარი იპოვეს, ერთს კი, ამ დრომდე ეძებენ.

„აიაქსის“ მწვრთნელად არველაძეს ითხოვენ

ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ამსტერდამის „აიაქსის“ მთავარ მწვრთნელად შოთა არველაძე დაინიშნოს. მას შემდეგ, რაც გუნდიდან მორის სტეინი გაუშვეს, დიდი სჯა-ბაასი მიდის იმის თაობაზე, თუ ვინ ჩაიბარებს ნიდერლანდების ყველაზე ტიტულოვან კლუბს. საქმე ის გახლავთ, რომ ამსტერდამელებს, ზედიზედ 9 მატჩია, არ მოუგიათ, რაც კლუბის ისტორიაში აქამდე არასდროს მომხდარა და სტეინსაც კარისკენ სამართლიანად მიუთითეს. სოციალურ ქსელსა თუ კლუბის ფორუმზე განხილვისას კი, ყველაზე ხშირად, სწორედ არველაძეს ახსენებენ. მოგეხსენებათ, შოთა „აიაქსის“ ღირსებას 1997 წლიდან 2001 წლამდე იცავდა და დღემდე გულშემატივართა ერთ-ერთ საყვარელ ფეხბურთელად რჩება.

საუბარია იმაზეც, რომ ვინც არ უნდა დაინიშნოს გუნდის თავკაცად, მისი კონსულტანტი აუცუილებლად ლეგენდარული ლუი ვან გაალი უნდა იყოს. ჰოდა, ვან გაალსა და შოთას ერთად მუშაობის გამოცდილებაც აქვთ, ერთმანეთს კარგად უგებენ და თავად დიადი მწვრთნელიც არველაძის დანიშვნის წინააღმდეგი არ უნდა იყოს. ჩვენთვის კი, ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, ვინც არ უნდა დაინიშნოს „აიაქსში“, ქართველ გიორგი მიქაუტაძეს სათამაშო დრო ჰქონდეს და მყარი სათადარიგოდან, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად იქცეს.

ერედივიზიონის მეათე ტურში ამსტერდამელები „პსვ“-სთან 5:2 დამარცხდნენ და გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზე არიან.

მამარდაშვილი საუკეთესო იყო

ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში, გიორგი მამარდაშვილის „ვალენსია“ ბილბაოში „ატლეტიკს“ ესტუმრა და შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა. მასპინძლებმა ქულის მომტანი გოლი მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე შეაგდეს. როგორც წესი, ასეთ დროს, ყვლაფერი მეკარეს ბრალდება ხოლმე, მაგრამ არა ამ შემთხვევაში – ქართველი კიპერი, ორი გაშვებული გოლის მიუხედავად, მატჩის საუკეთესოდ დასახელდა, რადგან შეხვედრის განმავლობაში, არაერთი რთული ბურთი მოიგერია და მისი გუნდი დიდი ანგარიშით რომ არ დამარცხდა, სწორედ მამარდაშვილის დამსახურებაა.

„კარგად ვითამაშეთ და მოგებას ვიმსახურებდით, მაგრამ გოლი ბოლო წუთზე გავუშვით და ამის გამო, ძალიან გაბრაზებული ვარ. ახლა მომდევნო შეხვედრებზე უნდა ვიფიქროთ და იქ უნდა შევეცადოთ გამარჯვების მოპოვებას“, – განაცხადა ნამატჩევს გიორგიმ.

რაგბი ჩვენი თამაშია?!

მსოფლიოს სარაგბო ჩემპიონატი დასრულდა და დასრულდა ისე, გულშემატკივრები უკეთესს ვერც ვინატრებდით – ფინალურ შეხვედრაში, სამხრეთ აფრიკამ, ახალი ზელანდია ძალიან ლამაზ, სანახაობრივ და დაძაბულ შეხვედრაში, 12:11 დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონი მეოთხედ გახდა. რა თქმა უნდა, ეს აფრიკელებისთვის ძალიან კარგია, ისინი სამშობლოში გმირებად დაბრუნდნენ, მაგრამ...

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ჩემპიონატი ისე დაასრულა, რომ ერთი შეხვედრაც ვერ მოიგო და ამას ნაკრების თავკაცის, ლევან მაისაშვილის პოსტიც გადაჰყვა, თუმცა ახლა, ამ თემაზე ნაკლებად გვსურს საუბარი. საქართველოს შვიდქალა ნაკრებმა, რაგბი-ევროპის ჩემპიონატში დამაჯერებლად იასპარეზა და პირველ დივიზიონში გადასასვლელად სულ ცოტა დააკლდა. ყველამ აღიარა, რომ ქართველ ქალებს ცოტა მეტი პრაქტიკა სჭირდებათ და აგერ შანსიც გამოჩნდა – საქართველოს, როგორც კაცთა, ისე ქალთა შვიდკაცა ნაკრებები დუბაის ტურნირზე მიიწვიეს. რაგბის კავშირმა კი, უსახსრობის გამო, მხოლოდ კაცები გაუშვა, ქალებს უარი ეთქვათ.

საინტერესო, იცით, რა არის? ლამის თვეში ერთხელ, რაგბის კავშირში საგანგებო პრესკონფერენცია იმართება, სადაც მორაგბეების ახალ სპონსორებს გვაცნობენ და გვეუბნებიან, რომ დამატებითი სახსრების მოძიება ხერხდება. თუ ეს სახსრები მხოლოდ კაცებისთვის არის, გვითხრან, თუ არა და... კულუარებიდან რატომ ჟონავს ინფორმაცია, რომ რეალურად, რაგბის კავშირში უმძიმესი ფინანსური კრიზისია და ქალთა ნაკრების დუბაის ტურნირზე გაშვება ამიტომაც ვერ მოხერხდა? თუ რაგბი მართლაც ჩვენი თამაშია, ყველამ ვითამაშოთ, თუ არა და, მხოლოდ კაცების თამაში დავარქვათ და ქალების ყველა ასაკობრივი ნაკრები უბრალოდ გავაუქმოთ.

თოხაძე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, 23-წლამდელთა შორის, მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. ეს ის ასაკია, როცა ბოლო შანსი გაქვს, ახალგაზრდულში რამე მოიგო, შემდეგ კი, დიდების ტურნირები იწყება და სწორედ 23-წლამდელთა შორის გამარჯვებულები არიან ხოლმე მომავალში წონის ფავორიტები.

საქართველოს ნაკრებმა სამივე სინჯის მედლის მოპოვება მოახერხა და რაც მთავარია, ტურნირის ბოლო დღეს, ქართული ჰიმნი აჟღერდა. 55კგ წონით კატეგორიაში, გიორგი თოხაძემ მთელი ტურნირი დამაჯერებლად განვლო და ფინალშიც ყაზახ მეტოქეს შანსი არ დაუტოვა – 9:0 მოუგო და ოქროს მედალი დაისაკუთრა. იმავე დღეს, ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა ხვიჩა ანანიძე (77კგ.), ხოლო ერთი დღით ადრე, ფინალური შეხვედრა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა რომეო ბერიძე (60კგ.). საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა.

მარსელში კინაღამ ფაბიო გროსო მოკლეს

ვისაც ფაბიო გროსო არ ახსოვს, მარტივად გავახსენებთ – იტალიის ნაკრების შემადენლობაში, გროსო მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და გადამწყვეტი პენალტი ფრანგებს სწორედ მან გაუტანა. სწორედ ამ პენალტით იწყება შაკირას ცნობილი კლიპი „ვაკა, ვაკა“ და გროსო იტალიელებისთვის ეროვნული გმირია. დღეს კი, ვეტერანი ფეხბურთელი, ფრანგულ „ლიონს“ უდგას სათავეში და საფრანგეთის ჩემპიონატის მეათე ტურში, გუნდი სათამაშოდ მარსელში ჩაიყვანა. „ველოდრომზე“ გასამართი შეხვედრა საინტერესო ორი მიზეზის გამო იყო – პირველი ის, რომ „ლიონი“ და „მარსელი“ მუდმივი მოქიშპეები არიან და ერთმანეთს არ ინდობენ, მეორე ის, რომ თუ ლიონელებს გროსო თავკაცობს, „მარსელის“ დამრიგებელი გროსოს ყოფილი თანაგუნდელი, ასევე მსოფლიოს ჩემპიონი, ჯენარო გატუზოა და მწვრთნელთა იტალიური დუელი არანაკლებ საინტერესო სანახავი იქნებოდა, თუმცა..

სტადიონთან მისულ „ლიონის“ ავტობუსს, წინ „მარსელის“ გულშემატკივრები გადაუდგნენ და ქვები დაუშინეს. თავდასხმა ისეთი მოულოდნელი იყო, ვერც პოლიციამ მოახერხა დროულად ჩარევა და ვერც ავტობუსში მყოფები მიხვდნენ, რომ ქვებს როგორმე მორიდებოდნენ. შედეგად, ერთ-ერთი ქვა, შუშის ნამსხვრევებთან ერთად, სწორედ გროსოს მოხვდა და მართალია, ის ავტობუსიდან თავის ფეხით ჩავიდა, შემდეგ სიარულის გაგრძელება ვეღარ შეძლო და არა მარტო სასწრაფო დახმარების ექიმთა ჩარევა გახდა საჭირო, არამედ, მწვრთნელი ადგილობრივ კლინიკაში გადაიყვანეს და საქმეში ქირურგებიც ჩაერთნენ. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ შეხვედრა გადადო და ძალიან დიდი ალბათობით, „მარსელის“ გულშემატკივრებს, საუკეთესო შემთხვევაში, სტადიონზე შესვლა 2-3 თვით აეკრძალებათ.

„მანჩესტერში“ ფერგიუსონი მოენატრათ

„მანჩესტერ იუნაიტედმა“, პრემიერლიგის მორიგ ტურში, დასანანი მარცხი განიცადა. „იუნაიტედი“ მანჩესტერულ დერბიში „სიტის“ მასპინძლობდა და შეხვედრა უშანსოდ – 0:3 დათმო. რა თქმა უნდა, მარცხი გულშემატკივრებისთვის განსაკუთრებით მწარე აღმოჩნდა და ნამატჩევს ერთი, ძალიან საინტერესო სტატისტიკა გაიხსენეს.

გუნდის ლეგენდარული თავკაცი, სერ ალექს ფერგიუსონი, რომელიც „წითელ ეშმაკებს“ 1986 წლიდან 2013 წლამდე წვრთნიდა, ახლაც ყველა საშინაო შეხვედრას ესწრება. ჰოდა, მისი მწვრთნელობის პერიოდში, მანჩესტერელებმა საშინაო მოედანზე 405 შეხვედრა გამართეს და მხოლოდ 34 წააგეს. აი, სერ ალექსის წასვლის შემდეგ, „მანჩესტერმა“ შინაურ კედლებში 196 მატჩი ჩაატარა და „სიტისთან“ წაგებული შეხვედრა... 34 იყო ანუ ზუსტად იმდენჯერ დამარცხდნენ, რამდენიც 26 წლის განმავლობაში ჰქონდა ძია ფერგის წაგებული. ამიტომაც არის, სერ ალექსს გულშემატკივრებმა ძეგლი სიცოცხლეშივე რომ დაუდგეს, მანჩესტერის სტადიონისკენ მიმავალ ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი რომ დაარქვეს, „ოლდ ტრაფორდზე“ მისი სახელობის ტრიბუნაც რომ არის და ზოგადად, ფერგიუსონი კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდ კაცად ითვლება.

კალიარი-ფროზინონე გარიგებული იყო?

იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული მატჩი ჩატარდა. გადარჩენისთვის მებრძოლი „კალიარი“, ასევე გადარჩენისთვის მებრძოლ „ფროზინონეს“ მასპინძლობდა. ერთადერთი მიზეზი იმისა, რის გამოც ქართველებმა ამ შეხვედრას უყურეს, ის გახლავთ, რომ სტუმართა გუნდში გიორგი კვერნაძე ასპარეზობს, მაგრამ მწვრთნელმა ქართველი მთელი მატჩის განმავლობაში თადარიგში დატოვა, თუმცა შეხვედრაში მოხდა ისეთი რამ, რაც საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა და მატჩს ახლა არა მარტო იტალიის სადისციპლინო კომიტეტი, არამედ უეფაც სწავლობს.

სტუმრებმა შეხვედრა აქტიურად დაიწყეს და პირველ ნახევარში ორი გოლი გაიტანეს, მეორე ტაიმში მესამეც მიაყოლეს და როცა 72-ე წუთია და 3:0-ს იგებ, მატჩი გაკეთებულია და მშვიდად, ბურთის გორაობით უნდა მიიყვანო საფინალო სასტვენამდე. ამის მიუხედავად, 3:0-ის შემდეგ, „ფროზინონე“ დადგა და მშვიდად უყურებდა, როგორ გაუტანა მეტოქემ 4 გოლი. ამ ოთხი გოლიდან, ორი ბურთი მასპინძლებმა 95-ე და 97-ე წუთებზე ანუ მსაჯის მიერ დამატებულ დროში შეაგდეს. ყველაზე საინტერესო, „კალიარის“ მიერ გატანილი მეორე გოლი იყო, როცა სტუმრებმა მეტოქის ფეხბურთელს ბურთი საკუთარ საჯარიმოსთან ჩააბარეს და მერე მშვიდად აკვირდებოდნენ, როგორ შევიდა ის საჯარიმოში და როგორ გაიტანა.

თუ დადასტურდა, რომ აღნიშნულ შეხვედრას გარიგების სუნი უდის, ორივე კლუბს უმკაცრესი სასჯელი არ ასცდება. ახლა საფეხბურთო ორგანოები იმას იკვლევენ, მსოფლიოს მასშტაბით, რომელიმე საბუკმეიკერო კანტორას, კონკრეტულად ამ შეხვედრაზე ვინმემ, სრულიად „შემთხვევით“, დიდი ფული ხომ არ მოუგო.

სიყვარულის მაღაზია

ქრისტინე ბეგია

სიყვარულის მაღაზია გაიხსნა. ყველანაირი სიყვარული იყიდებოდა: მეგობრის, მამის, ძმის, მასწავლებლების, ღამის, ბიჭის, გოგოს, ცოლის, საყვარლის, სამშობლოს, სეირნობის, ნერვებზე თამაშის, ფუფუნების, წიგნების, ჯაზის, ზღვის, ცეკვის, წვიმის, ლეღვის, სოფლის, ძილის, ჭორაობის, ჭამის, ქარგვის, ექსტრემის, მაღალქუსლიანების... სულო და გულო, რა სიყვარული გინდა, არ გეპოვა ამ მაღაზიაში!

მიაწყდა ხალხი. ზოგი მეზობლის სიყვარულს ყიდულობდა, ზოგი – ვარჯიშის, ზოგიერთიც – ზამთრის. ზოგს ისედაც ჰქონდა ესა თუ ის სიყვარული და ახლა სხვა სიყვარულს ყიდულობდა. იმატებდნენ. რაც მეტი სიყვარული გაქვს, მით უკეთესი. მე კი არანაირი სიყვარული არ გამაჩნდა. სწორედ ჩემთვის იყო ის მაღაზია გახსნილი, მაგრამ ძალიან ღარიბი ვიყავი, კაპიკიც არ მებადა. ეგ, ფულის სიყვარული რომ არ მქონდა, იმიტომ.

ვიფიქრე, – წავალ, ეგებ, არცთუ ძვირია სიყვარულები. ფულს ვისესხებ, ცოტას კი, მასესხებენ-მეთქი. გზას გავუდექი. ხალხი ირეოდა ქუჩაში – ამას დედინაცვლის სიყვარული მიჰქონდა; იმ ქალს – მეცადინეობის, შვილისთვის უნდა ეჩუქებინა, სავარაუდოდ; ამას კიდევ – სახლის დალაგების; ახალწვერაყრილ ყმაწვილს ღვინისა და ლუდის სიყვარული უყიდია.

მოკლედ, ძლივს გავიგენი გზა მაღაზიამდე.

დიდი რიგი იყო. ორი დღე-ღამე მომიწია რიგში დგომა მხოლოდ იმისთვის, თუ რა ფასები იყო, გამეგო. სიძვირფასე და ხარისხი განსაზღვრავდა ფასს. რამდენიც გინდოდა, იმდენ სიყვარულს აგიწონიდნენ.

ყველაზე ნაკლები მოთხოვნით ღვთის სიყვარული სარგებლობდა. თითქმის საერთოდ არ გვეყიდებაო, – გამყიდველის სიტყვებს მოვკარი ყური. „ყველაზე საჭირო სიყვარული არ სჭირდებათ!“ – ჩემი აზრი იყო ასეთი.

ტყუილად ვიდექი მაღაზიაში, არაფრის მყიდველი არ ვიყავი. სხვებს ვუშლიდი ხელს. „გაიწი, რა, თუ არაფერს ყიდულობ!“ – მრისხანედ შემომიბღვირა ვიღაცამ. შენ, პირველყოვლისა, ხალხის სიყვარული იყიდე-მეთქი, – ვუთხარი და გამოვედი.

რამდენსაც მასესხებენ, იმდენს ვისესხებ და ცოტ-ცოტა ყველანაირ სიყვარულს ვიყიდი, – ვთქვი ჩემთვის, გულში.

არავინ მასესხა, ახლა ძაან გვჭირდება ფული, არ გეწყინოსო. რა უნდა მექნა?! დავნაღვლიანდი.

ბოლოს, გამიჭრა გონებამ. განცხადება გამოვაქვეყნე გაზეთში, – ვეძებ ადამიანს, ფულის გასესხების სიყვარული რომ აქვს-მეთქი. ან არავის წაუკითხავს განცხადება, ან საერთოდ, არ არსებობს ადამიანი, ფულის გასესხების სიყვარული რომ ჰქონდეს.

ერთი კვირა ვიფიქრე, რა გზას დავდგომოდი. ხალხი კი ყიდულობდა და ყიდულობდა სიყვარულებს.

მეორე კვირაც ფიქრში გავატარე. მაღაზიას კი არ ელეოდა მუშტარი. პირიქით, კარგი მოგება ნახა სიყვარულის მაღაზიამ. კლიენტებიც რომ არ აკლდებოდა?!

აუცილებლად უნდა გაიხსნასო ფილიალი, – ჭორი გავარდა. ფილიალი გაიხსნასო?! თავში დამკრა შუქმა. ალბათ, გამყიდველებიც დასჭირდებათ-მეთქი. „ხელფასს რომ ავიღებ, მერე ვიყიდი რაღაც-რაღაც სიყვარულებს. თან, ცოტ-ცოტა ყველა მომხმარებელს „მოვუტეხავ“, ძაან არ მიხვდნენ! ერთ-ორ გრამს რას შეატყობენ! ჩემთვის ეგ ორი გრამიც ბევრს ნიშნავს და მნიშვნელოვანია“, – გავიფიქრე იმედმოცემულმა.

მართლაც, გამოცხადდა ვაკანსია.

თავი არ დამიზოგავს, თავი მომეწონებინა, მაგრამ ვერ აგიყვანთო, – მითხრეს. იმდენი ვეხვეწე, დავუჩოქე კიდეც, მაგრამ მაინც, არა და არაო, შენ საქმის სიყვარული არ გაქვსო. ვიმუშავებ და ხელფასით ეგრევე მაგ სიყვარულს ვიყიდი, პირობას გაძლევთ-მეთქი. როდის, ერთი თვის შემდეგო? მანამდე, ნახე, რამდენი საქმის სიყვარულის მქონე ადამიანი დგასო რიგში, მათგან საუკეთესოს არჩევაც კი გვიჭირსო, გამომაბუნძულეს.

მოწყენილი უაზროდ დავხეტიალობდი ქუჩაში. ხალხის ბედნიერება კიდევ უფრო მაუბედურებდა. ჩემს ჯიბრზე, რა გაცისკროვნებული სახეებით ბრუნდებოდნენ ნავაჭრით მაღაზიიდან?! ზოგიც, შოპინგის სიყვარული რომ ჰქონდა, ახლა მიდიოდა სიყვარულის მაღაზიაში უზომოდ გახარებული, წინ რომ დიდი სიამოვნება ელოდა.

ფილიალიც გაიხსნა. ფილიალებიც.

ორი-სამი თვე ისე გავიდა, ერთი გრამი სიყვარულიც კი არ მიყიდია. ეეჰ!..

ხუთ თვეში გული ისე დამისივდა, ლამის კაპილარები დახეთქა და ნეკნები დაბზარა. სასოწარკვეთილებისგან გადაღლილს არც ფიქრის თავი მქონდა და ასე, ბედს მიბარებული ვაგრძელებდი ცხოვრებას. ალბათ, მან თუ მიმიყვანა ერთი წლის შემდეგ სიყვარულის მაღაზიაში.

– შეიძლება, უფროსს დაველაპარაკო?

– რა გნებავთ?

– კონფიდენციალური საქმეა. პირადად მასთან მსურს საუბარი.

– კი, ბატონო!.. ახლავე დავბრუნდები.

გავიდა და ორ წუთში დაბრუნდა.

– გამომყევით.

კაბინეტში შემიძღვა.

– შემობრძანდით... დაბრძანდით... აბა, რა საქმეზე მოსულხართ? – მკითხა უფროსმა.

– ძალიან მინდა, რაღაც სიყვარული შევიძინო თქვენთან, თუნდაც, სულ მცირედი, მაგრამ კატასტროფულად ღარიბი ვარ... ძალიან გთხოვთ, ჩემი სიყვარულიც გაყიდოთ თქვენს მაღაზიაში.

გაოცებულმა შემომხედა, ეგრევე გავაგრძელე:

– თუ გაიყიდა ჩემი სიყვარული, ხომ კარგი. ფულს რომ ავიღებ, იმით ვიყიდი მერე სიყვარულს. თან, ჩემს სიყვარულს რომ იყიდიან, მერე დამეხმარებიან კიდეც და მეშველება მეც.

– კი, მაგრამ...

– არავითარი „მაგრამ“, გემუდარებით. უმორჩილესად გთხოვთ, უარს ნუ მეტყვით... პროცენტებს თქვენც აიღებთ, რასაკვირველია.

დაფიქრდა.

შევთანხმდით. ფასი დაადო ჩემს სიყვარულს – იაფი. არც იმდენი ვღირდი, ალბათ, მაგრამ მასაც ხომ უნდა დარჩენოდა, არა, რაღაც?!

ასე გამოვჩნდი სიყვარულის მაღაზიის ვიტრინაში, მაგრამ ზედაც არავინ მიყურებდა. ტყუილ-უბრალოდ ვუჟუჟუნებდი სევდიან, ძალით გამხიარულებულ თვალებს მყიდველებს. ერთი-ორმა კი შეაჩერა ჩემზე დაფიქრებული მზერა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, ღირდა თუ არა ჩემი სიყვარულის ყიდვა. არა, ეს არაფერში გამოგვადგებაო, – დაასკვნიდნენ ბოლოს. ფულის გაფლანგვაო ამ სიყვარულის ყიდვა, – ერთის სიტყვებმა ჩამიკლა გული. ერთსაც ბავშვი ეხვეწებოდა, დედი, დედი, ეს მიყიდე, რაო. სადა მაქვსო უაზროდ გადასაყრელი ფული. რაც გამოგადგება, იმას გიყიდიო. დედი, გთხოვ, რა, არ დამწყვიტოო გული. შენ ფულის ყადრი არ იცი და, პირველ რიგში, ფულის სიყვარულს გიყიდიო.

– უკაცრავად, ფულის სიყვარული რა ღირს?

გავიდა ხანი და ჩამოაფასეს ჩემი სიყვარული. რომც გავსაღებულიყავ, მაინც გროშები შემხვდებოდა. მაგ ფულით ძაან ცოტა სიყვარული თუ მომივიდოდა, მაგრამ სულ არარაობას ცოტა არ სჯობია?! „სეილმაც“ არ მოიზიდა ჩემკენ ხალხი.

ამას წინათ, ჩემს ფეხებთან ხურდა დაუვარდა ვიღაცას და ვერ შენიშნა. არც მე მოვქცეულვარ ისე, წესიერი ადამიანი რომ მოიქცეოდა ასეთ ვითარებაში. ფრთხილად, სხვას რომ არ შეემჩნია, ისე ავიღე ხურდა. კი შემეშინდა, ეჭვი არ აეღოთ, ხომ არ მოიპარაო და სხვა რამ ამდაგვარი, მაგრამ იმავე დღეს, მაღაზია რომ იკეტებოდა, მაშინ გამყიდველს მაინც ვუთხარი, ამ ფულით რამდენიც მომივა, იმდენი ღვთის სიყვარული ამიწონეთ-მეთქი. მაგით არაფერი მოგივაო.

ახლაც სიყვარულის მაღაზიის ვიტრინას „ვამშვენებ“, ან მიყიდიან, ან – არა, მაგრამ მაინც იმედით უდგას კაცს პირში სული. ერთ დღესაც გამოივლის, ალბათ, ვიღაც მადლიანი და იყიდის ჩემს სიყვარულს, ან რა ვიცი, ეგებ, კიდევ დაუვარდეს ვინმეს ხურდა და შევაგროვებ, სანამ რაღაც სიყვარული არ მომივა, მანამ თუ არ მომისროლეს სანაგვეში, ტყუილად იკავებს ადგილს, მაინც არავინ ყიდულობსო.

ბოტასების მოპარვის ნება დართეს

სპორტული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ფრანგულმა მაღაზიამ – Distance, აქციის შესახებ განაცხადა, რომელსაც Rob It To Get It („მოიპარე, რომ მიიღო“) უწოდა. დაწესებულების მფლობელები ნებას იძლევიან, მოიპაროთ ნივთები, რომლებიც სპეციალური „ბირკით“ არის აღნიშნული, თუმცა არის ერთი პირობა – მოპარვის შემდეგ, მაღაზიის დაცვის თანამშრომელს უნდა გაექცეთ. აქციის დღეს, ამ თანამდებობაზე მაღაზიაში ფრანგი სპრინტერი, მიქაელ ზეზე „მუშაობდა“. ზეზე 100 მეტრზე სირბილში ევროპის ორგზის ვერცხლის პრიზიორია და მისი პერსონალური რეკორდი ამ დისტანციაზე 9.99 წამია. ეს სულ 0.41 წამით ნაკლებია უსეინ ბოლტის მიერ დამყარებულ რეკორდზე. როგორც აღმოჩნდა, ორმა მომხმარებელმა მაინც მოახერხა მარაზიიდან ნივთების მოპარვა. მათ დრო იხელთეს და მაღაზია იმ დროს „გაძარცვეს“, როცა ზეზე უკვე მისდევდა სხვა „ქურდს“. ფრანგმა მორბენალმა დანარჩენი 74 „ქურდობის მცდელობა“ აღკვეთა.

ასაწყობი ელექტრომობილი შექმნეს

შვედურმა სტარტაპმა Luvly, შექმნა ელექტროკარი, რომლის მიწოდებაც მთელ მსოფლიოში, დაშლილი სახით, ბრტყელ ყუთებშია შესაძლებელი, როგორც IKEA-ს ავეჯი. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად შეამცირებს ტრანსპორტირებისას მავნე აირების გამოყოფას. თუმცა, როგორც იდეის ავტორები აღნიშნავენ, მყიდველს ვერ ანდობენ, დამოუკიდებლად „ააწყოს“ ელექტრომობილი. მანქანა ყუთებით ფაბრიკიდან ადგილობრივ ასაწყობ პუნქტებში გაიგზავნება, სადაც მას სპეციალისტები სრულფასოვან ავტომობილად აქცევენ. ასაწყობი ელექტრომობილი გაყიდვაში მომავალი წლიდან გამოვა. მისი ღირებულება, დაახლოებით, 10 ათასი დოლარი იქნება. მანქანა ორადგილიანია და 500 კილოგრამზე ნაკლებს იწონის. დამუხტული ბატარეა 100 კილომეტრზე ჰყოფნის და შეუძლია, საათში 90 კილომეტრი სიჩქარე განავითაროს. შვედი ინჟინრების თქმით, ავტომობილი ისეა აწყობილი, რომ საჭიროების შემთხვევაში, ცალკეული დეტალები ადვილად შეიცვლება. მომავალში კი, ის შეიძლება, მთლიანად დაშალოთ და უტილიზაციისთვის ჩააბაროთ.

გალერეამ შედევრი „კაპიკებად“ გაყიდა

ლონდონის გალერეამ, ფრანგ კოლექციონერს, „მარია მაგდალინას“ პორტრეტი საკმაოდ იაფად – სულ რაღაც, 30 ათას გირვანქა სტერლინგად მიჰყიდა. მიიჩნევდნენ, რომ ნახატი ლეონარდო და ვინჩის ერთ-ერთი მოწაფის ნახელავი იყო, თუმცა მოგვიანებით, სპეციალისტთა ჯგუფმა კვლევა ჩაატარა და გაარკვია, რომ სინამდვილეში, პორტრეტი რაფაელ სანტის ფუნჯს ეკუთვნის. აღორძინების ეპოქის ამ ოსტატის ნამუშევრების ღირებულება 10 მილიონი გირვანქა სტერლინგიდან იწყება. ხელოვნებათმცოდნეებმა დაადგინეს, რომ პორტრეტის ხატვისას, რაფაელის მოდელი მისი მასწავლებლის, პიეტრო პერუჯინოს მეუღლე იყო. ნახატის ღირებულება კი „მონა ლიზასას“ უტოლდება. შეიტყო რა, ამის შესახებ კოლექციონერმა, გადაწყვიტა, ნახატი მუზეუმს გადასცეს.

ხალხს მილიონი დოლარი ჩამოუყარა

ჩეხმა ინფლუენსერმა და წამყვანმა კამილ ბარტოშეკმა, რომელსაც Kazma-ის ფსევდონიმით იცნობენ, ვერტმფრენიდან მილიონი დოლარი გადმოყარა. ადგილობრივი გამოცემა წერს, რომ ბარტოშეკმა მოაწყო „კვესტი“ – მისი მონაწილე მიიღებდა დიდ თანხას, თუკი ის მის საავტორო ფილმში Onemanshow: The Movie კოდს გაშიფრავდა. თუმცა, სამწუხაროდ, ამის გაკეთება ვერავინ მოახერხა. ბარტოშეკმა გადაწყვიტა, საპრიზო ფონდი მთლიანად მინდვრის თავზე გადმოეყარა. საამისოდ მან Kazma-ს თაყვანისმცემლებს, მათი ელექტრონული ფოსტის მისამართები, აქციის ზუსტი ლოკაციის შიფრში გაუცვალა. აქციისას კი, ვერტმფრენიდან გადმოყრილი მილიონი დოლარი იქ შეკრებილმა ასობით ადამიანმა ერთ საათზე ნაკლებ დროში აკრიფა. აღსანიშნავია, რომ ბარტოშეკის ფილმი – Onemanshow: The Movie, ცოტა ხნის წინ, აგვისტოში გამოვიდა და მხოლოდ პირველ შაბათ-კვირას 290 ათასი მაყურებელი მოაგროვა. შედეგად, ის ყველა დროის, ყველაზე წარმატებული ჩეხური ფილმი გახდა.

რეკორდი „იტალიურ კოცნაში“

გერმანიაში, გინესის ახალი რეკორდი დამყარდა „იტალიურ კოცნაში“. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ შეყვარებულებმა ერთი სპაგეტი უნდა შეჭამონ მანამდე, ვიდრე ერთმანეთს არ აკოცებენ. რეკორდის დასამყარებლად, ერთმა გერმანულმა რესტორანმა 930 ადამიანი (ანუ 465 წყვილი) ბერლინის აეროპორტის ანგარში (თვითმფრინავების ფარეხში) დაპატიჟა. რეკორდის დასაფიქსირებლად, წყვილს სპაგეტი 30 წამის განმავლობაში უნდა შეეჭამა და ერთმანეთისთვის ეკოცნათ. დათვლების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, რეკორდი ოფიციალურად დაფიქსირდა.

შვილიშვილის აღზრდაში ფულს ითხოვს

ჩინელმა ბებიამ სასამართლოს მიმართა, რათა ქალიშვილის ოჯახმა, შვილიშვილის აღზრდისთვის ფული გადაუხადოს. როგორც გამოცემა South China Morning Post წერს, ქალი, რომლის გვარია დუანი, საკუთარ ქალიშვილსა და სიძეს უჩივის. დუანი შვილიშვილზე 2018 წლიდან ზრუნავს, რადგან მშობლებს არ ჰქონდათ დრო, ბიჭისთვის მიეხედათ. ისინი სახლიდან 300 კილომეტრის მოშორებით მუშაობენ და ბებიას ყოველთვიურად „შემწეობას“ – ათას იუანს (დაახლოებით, 135 დოლარი) უგზავნიდნენ, ასევე 2 ათასს – ბავშვის შესანახად. ხუთი წლის შემდეგ, ბებიამ ჩათვალა, რომ მისი ძალისხმევა უფრო მეტი ღირს და კომპენსაცია მოითხოვა – ამ ზაფხულს მან ქალიშვილსა და სიძეს 192 ათასი იუანის გადახდა მოსთხოვა. შვილს ეს ძალიან ებევრა, დედას 50 ათასზე დასთანხმდა და შეთანხმებაც დადეს, თუმცა დაპირება არ შეასრულა. დედამ კი გადაწყვიტა, სასამართლოში ეჩივლა. თემიდამ ბებიის მხარე დაიჭირა და დადგინა, რომ მას იურიდიულად არ ევალებოდა შვილიშვილის აღზრდა და ის ანაზღაურებას იმსახურებდა. თუმცა, მოსამართლემ მომჩივან ბებიას დასახელებული თანხის განახევრება მოსთხოვა.

შინაურ ცხოველებს ტაძარში გამოეთხოვებიან

გერმანიაში ტაძარი გაიხსნება, სადაც შესაძლებელი იქნება, ადამიანები გარდაცვლილ შინაურ ცხოველებს გამოეთხოვონ. ის ქალაქ ალბშტადტში, ყოფილი პროტესტანტული ეკლესიის შენობაში განთავსდება, რომელიც გასაყიდად იყო გამოტანილი. მანამდე პასტორმა, სასულე ორკესტრის თანხლებით, ტაძრის საკუთხევლიდან ბიბლია, სანთლები და სხვა ნივთები გამოიტანა. ასე რომ, ეს ადგილი აღარ მიეკუთვნება რომელიმე კონფესიას. ამჟამად შენობას არემონტებენ. ვარაუდობენ, რომ საყვარელ შინაურ ცხოველთან გამოთხოვების პირველი ცერემონია რამდენიმე თვეში იქნება შესაძლებელი. ძაღლებისა და კატების გარდა, უკანასკნელ გზაზე ზაზუნებს, ზღვის გოჭებს, თუთიყუშებსა და სხვა საყვარელ არსებებს გააცილებენ.

მარგო რობი ყველაზე „ცხელი“ ქალია

ჟურნალმა Maxim Australia, თავისი ყოველწლიური რეიტინგი – Hot-100 გამოაქვეყნა. წელს, ამ სიას სათავეში ჩაუდგა პოპულარული ჰოლივუდელი მსახიობი, მარგო რობი. გამოცემა აღნიშნავს, რომ უკვე ზედიზედ მეორედ და რეკორდულ მეოთხე ჯერზე, „ბარბის“ ბლოკბასტერში მთავარი როლის შემსრულებელი, მარგო რობი სათავეში უდგას ყველაზე „ცხელი“ ქალების რეიტინგს. სიაში მეორე ადგილი დაიკავა ფეხბურთის ვარსკვლავმა სემ კერმა, მესამე საფეხურზე კი მომღერალი, დელტა გუდრემია.

კრევეტების დახოცვისთვის დააჯარიმეს

აშშ-ში, ჰავაის შტატში, ადგილობრივი მცხოვრები მამაკაცი 633.4 ათასი დოლარით დააჯარიმეს კრევეტების მოკვლისთვის. შტატის მიწისა და ბუნებრივი რესურსების საბჭომ უზარმაზარი ჯარიმა გამოუწერა უეინ სპატცს – მან წყალსატევში ჭიანჭველების შხამი გაუშვა, რითაც 6.25 ათასი კრევეტი დახოცა. სპატცის დანაშაული მაშინ გამოაშკარავდა, როცა ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა დეპარტამენტში იჩივლა. თვითმხილველმა განაცხადა, რომ დაინახა, როგორ ჩაუშვა მამაკაცმა წყალში თხევადი შხამი და ზედაპირზე ათასობით მკვდარი კრევეტი ამოტივტივდა. რამდენიმეთვიანი გამოძიების შემდეგ, დამნაშავე დაადგინეს და ყოველი მოკლული ცხოველისთვის სპატცს 100 დოლარის გადახდა დააკისრეს. ჯარიმის თანხაში შედის, ასევე, მომწამლავი ნივთიერების უკანონო გამოყენება – 8.64 ათასი დოლარი და სასამართლო ხარჯებიც. დღეისთვის, ეს ყველაზე დიდი ჯარიმაა შტატში, რაც გარემოსთვის ზიანის მიყენების გამო გამოუწერიათ.

ერთმა ადამიანმა ტყე გააშენა

69 წლის ალასან სადიმანი ინდონეზიის კუნძულ იავას მცხოვრებია. მან, მარტოდმარტომ, კუნძულის ცენტრალურ ნაწილში, 250 ჰექტარზე, 11 ათასი ხე დარგო. ამ საქმიანობას მან 24 წელი მოანდომა. „როიტერის“ ცნობით, მამაკაცის მონდომებამ და შრომამ ნაყოფი გამოიღო: ხანძრებით გადამწვარი და უანაყოფო გორაკები ნამდვილ ოაზისად იქცა. ახლა გვალვით დაზიანებულ მთის ხეობაში კვლავ არის წყალი, რომელსაც ფერმერები სარწყავად იყენებენ და მილებით საცხოვრებელ სახლებამდეც მიჰყავთ. სადიმანი იხსენებს, რომ როცა ხეების დარგვა დაიწყო, თანასოფლელთაგან თითქმის არავის სჯეროდა მისი შრომის შედეგის, ზოგი მას გიჟადაც კი თვლიდა. ახლა კი ადგილობრივი ფერმერები მოსავალს წელიწადში ორ-სამჯერ იღებენ. „იმედი მაქვს, რომ ახლა, აქ, ადამიანები ბედნიერად იცხოვრებენ. გაუფრთხილდით და ნუ გადაწვავთ კვლავ ტყეებს“, – მოუწოდებს თანამემამულეებს ალასანი.

საჭმელად ვარგისი ფრჩხილების ლაქი შექმნეს

ავსტრალიურმა მიტანის სერვისმა Deliveroo, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, საკვებად ვარგისი ფრჩხილის ლაქი შექმნა. სიახლე ფირუზისფერია და ორი გემოთია წარმოდგენილი – გრილზე შემწვარი ნეკნებისა და კლასიკური მოცვის ღვეზელის. იმის მიუხედავად, რომ სიახლის ავტორები იწონებენ ასეთი ლაქით ფრჩხილების ალოკვას, ან მის მოკვნეტას, მაინც აფრთხილებენ მომხმარებლებს, რომ ფრჩხილების ლაქი საკვები არ არის. ერთი ფლაკონი ფრჩხილების ახალი ლაქის ღირებულება 20 დოლარია.

სპრეი წყლის ეკონომიისთვის

ამერიკელმა სპეციალისტებმა უნიტაზისთვის ჭუჭყის ასაცილებელი სითხე შექმნეს. ამ სითხეს, რომელიც სპრეის სახით გამოუშვეს, მთელ მსოფლიოში, დიდი რაოდენობით წყლის დაზოგვა შეეძლება. პენსილვანიის უნივერსიტეტის სწავლულების თქმით, ეს ინოვაციური საშუალება 90%-ით შეამცირებს წყლის რაოდენობას, რომელიც ექსკრემენტების ჩასარეცხადაა საჭირო. გარდა ამისა, სითხე ხელს უშლის უნიტაზში ბაქტერიების თავმოყრას და სუნის ნეიტრალიზებასაც ახდენს. სპრეი, რომელიც მისხურების შემდეგ, უნიტაზის ზედაპირს ძალიან გლუვს ხდის, განმეორებით მხოლოდ 50 ჩარეცხვის შემდეგ უნდა გამოიყენოთ. სპეციალისტების გამოთვლით, ყოველდღიურად, ჩვენს პლანეტაზე, ტუალეტების ჩასარეცხად, 141 მილიარდ ლიტრზე მეტი წყალი იხარჯება.

პალტო-ჩემოდანი ავიამგზავრებისთვის



ავსტრალიელმა დიზაინერებმა პალტო გამოიგონეს, რომლის ჯიბეებშიც 15 კილოგრამამდე წონის ნივთებს მოათავსებთ. როგორც ავტორები ამბობენ, მათი ქმნილება თვითმფრინავის სალონში განსაზღვრული წონის შეტანის პრობლემას მოუხსნის მგზავრებს. პალტოში, რომელსაც Airport Jacket უწოდეს, 14 ღრმა ჯიბეა ჩაკერებული. მისი სიგრძის რეგულირება შესაძლებელია და მსურველს შეუძლია, ან მუხლამდე დაამოკლოს, ან პირიქით – სიგრძე კოჭებამდე გაზარდოს. სიახლის მწარმოებლები გვარწმუნებენ, რომ მთლიანი სიგრძისას, შეგიძლიათ, პალტოში დაატიოთ: ორი ნოუთბუქი, ერთი პლანშეტი, ორი წყვილი ფეხსაცმელი, ერთი-ორი ჯინსის შარვალი, ხუთი მაისური, ჯემპრი და ფოტოაპარატი. ეს ნივთები, უბრალოდ, ჯიბეებში სწორად უნდა განათავსოთ. ფრენის შემდეგ, შეგიძლიათ, პალტო სპორტული ჩანთის მსგავსად გამოიყენოთ, სადაც ყველა ნივთი აკურატულად განთავსდება. ავტორების თქმით, პალტოში საკმარისი ნივთები ეტევა, რათა მოგზაურმა რამდენიმე დღე გაატაროს. ამასთან, აღარც იმაზე ინერვიულებს, რომ შესაძლოა, ბარგში ჩაბარებული ჩემოდანი დაკარგოს, ან თვითმფრინავში ატანისას, დამატებითი თანხა გადაიხადოს.

მოტეხილ ძვლებს ადვილად აღადგენენ

სტენფორდის სამედიცინო სკოლის მკვლევარებმა მოტეხილი ძვლებისა და ხრტილების დაზიანებული ქსოვილების აღდგენის მარტივ მეთოდს მიაგნეს. მათი მოსაზრებით, დაზიანებული ძვლებისა და ხრტილების აღდგენა უბრალო ოპერაციითაა შესაძლებელი, რომლის დროსაც ჩონჩხის კუნთების ღეროვანი უჯრედები შეჰყავთ დაზიანებულ ნაწილში. სწავლულებმა ისეთ მექანიზმსაც მიაგნეს, რომელიც საშუალებას იძლევა, ცხიმოვანი უჯრედები ღეროვან უჯრედებად აქციონ. ეს აღმოჩენა მედიკოსებს საშუალებას მისცემს, უახლოეს მომავალში, ჩონჩხის სისტემის დაღვევების მკურნალობის ახალი მეთოდი შეიმუშაონ, მაგალითად, ძვლების მოტეხილობების, სიმყიფის, ოსტეოსარკომისა და ხრტილების დაზიანების დროს. ორთოპედ-ქირურგებს, წელიწადში, ლამის მილიონჯერ უხდებათ დაზიანებული სახსრების ხრტილების პრობლემებზე მუშაობა. ისინი იძულებულნი არიან, ის ამოკვეთონ, რადგან აღდგენას არ ექვემდებარებიან, ხრტილის ქსოვილის უკმარისობა კი პაციენტისთვის პირდაპირი გზაა ართრიტისკენ, – აცხადებენ სპეციალისტები. ეს აღმოჩენა საშუალებას იძლევა, პაციენტისვე მუსკულატურიდან აღებული ღეროვანი უჯრედებიდან ახალი ხრტილი გამოზარდონ.

ცივი ჩაი ჯანმრთელობას ვნებს

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ცივი ჩაი, შესაძლოა, თირკმელებში კენჭების წარმოქმნის მიზეზი გახდეს, რადგან ის დიდი ოდენობით შეიცავს ოქსალატებს (მარილებსა და მჟაუნმჟავებს). სწავლულების თქმით, კენჭების წარმოქმნის რისკი ოთხჯერ უფრო მეტია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში. ცნობილია, რომ რისკჯგუფში, ძირითადად, 40 წელს გადაცილებული კაცები შედიან, ასევე, სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, რომლებსაც ორგანიზმში ესტროგენის დაბალი დონე აქვთ, ან მენოპაუზის პერიოდში არიან, ანდა საკვერცხეები აქვთ ამოკვეთილი. მედიკოსები გამაგრილებელი სასმელების მოყვარულებს ურჩევენ, ცივი ჩაის ნაცვლად, უპირატესობა წყალს მიანიჭონ, ანდა სახლში მომზადებული ლიმონათი მიირთვან. რეკომენდებულია ლიმონიანი წყალიც, რომელიც კენჭების წარმოქმნას უშლის ხელს, მასში არსებული ციტრატების წყალობით.

კიდევ ერთი „მხსნელი“ სიმსუქნისგან

წითელი ყურძნისა და ფორთოხლის ერთად მიღება, პროფესიონალების მტკიცებით, ადამიანს ჭარბი წონისგან გაათავისუფლებს. ახალი წამლის შექმნის საკუთარ იდეას მედიკოსები ღია ნივთიერებების საფუძველზე ახორციელებენ, რაც საბოლოოდ, შესაძლებლობას მოგვცემს, დიაბეტსა და სიმსუქნეს თავი დავაღწიოთ. უორვიკის უნივერსიტეტის სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ამ ორ შემადგენლობაში არსებული ნაერთების კომპოზიცია ხელს უწყობს დიაბეტის, გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარებისა და ზედმეტი კილოგრამების აკიდების რისკის შემცირებას. ასეთ ეფექტს იძლევა ტრანს-რესვერატროლი და ჰესპერტინი, რომელსაც ყურძენი და ფორთოხალი შეიცავს – ერთად მოქმედებით, ისინი ცილა GLO-ის გამომუშავებას უწყობენ ხელს, რომელიც შაქრის მავნე ზემოქმედებას ანეიტრალებს.

მამაკაცი საათნახევრით გარდაიცვალა

ავსტრალიაში მცხოვრებმა მამაკაცმა 90-წუთიანი კლინიკური სიკვდილი გადაიტანა, რის შემდეგაც, მისი გული კვლავ ამუშავდა. როგორც ადგილობრივი მედია წერს, მამაკაცი, ცოლთან ერთად, ბრიტანული კოლუმბიის პროვინციაში, სანაპირო სახლში ისვენებდა. ღამით მეუღლე მისმა ხვრინვამ გააღვიძა, თუმცა მერე დააკვირდა, რომ სუნთქვის მკვეთრი ხმა აღარ მეორდებოდა. ის ქმრის გაღვიძებას შეეცადა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ მას გული გაუჩერდა და სასწრაფო გამოიძახა. მედიკოსები 90 წუთის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ გულის ამუშავებას, მერე კი ცოლს განუცხადეს, რომ მისი ქმარი გარდაიცვალა. საბედნიეროდ, მალევე მამაკაცის გული კვლავ ამუშავდა და ავსტრალიელი ამქვეყნად დაბრუნდა. გაოცებული მედიკოსებისთვის აუხსნელია, რა მოხდა და ამ ფაქტს სასწაულს მიაწერენ.

კვერცხი კარგ მხედველობას შეგინარჩუნებთ

ყოველკვირა კვერცხის მირთმევა აღკვეთს ასაკობრივ მაკულოდისტროფიას – პათოლოგიას, რომლის გამოც, 50 წელს გადაცილებული ადამიანები მხედველობას კარგავენ. ასეთი დასკვნები ავსტრალიელმა სწავლულებმა გააკეთეს. სპეციალისტებმა ექსპერიმენტი 3 654 ადამიანზე ჩაატარეს, რომლებსაც 15 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. შედეგად, აღმოჩნდა, რომ იმ მოხალისეებს, რომლებიც ყოველკვირეულად, 2-4 კვერცხს მიირთმევდნენ, 49%-ით ნაკლებად ჰქონდათ მაკულოდისტროფიის პრობლემა, ვიდრე მათ, რომლებიც კვირაში ერთ კვერცხს მიირთმევდნენ. ექსპერტების თქმით, კვერცხის მოხმარებასა და მხედველობას შორის არსებობს კავშირი, მაგრამ როგორი, ეს ჯერ კიდევ არ დაუზუსტებიათ.

შაკიკს პლასტირით უმკურნალებენ



კომპანია Theranica-ის მიერ შექმნილი პლასტირი – Theranica, სმარტფონის მეშვეობით კონტროლდება და შაკიკის დროს, ტკივილის სიმწვავეს ამცირებს. სისტემა შედგება პლასტირისგან, ელექტროდებისა და კომპიუტერული ჩიპისგან, რომელიც უსადენო არხით მობილურ მოწყობილობას უერთდება. სისტემა ახდენს ხელის კანქვეშ ნერვების სტიმულირებას, ბლოკავს ტკივილის სიგნალებს და არ აძლევს ტვინამდე მიღწევის საშუალებას. სისტემა უკვე გამოსცადეს მოხალისეებზე. 71 ადამიანს, რომელთაც ეპიზოდური შაკიკი (2-3 შეტევა თვეში) ჰქონდათ, დაახლოებით, ორი თვის განმავლობაში არ იღებდნენ თავის ტკივილის გამაყუჩებელ პრეპარატებს. მათ ნაწილს უბრალო პლასტირი მისცეს, ნაწილს კი – Nerivio Migra. ის ხელის მტევნის ზედა ნაწილში მაგრდება, როცა შაკიკის შეტევა იწყება. გამოყენების ხანგრძლივობა 20 წუთი იყო, თანაც მოხალისეებს მედიკამენტების მიღება ეკრძალებოდათ. შედეგად, აღმოჩნდა, რომ ნერვების სტიმულაციამ ტკივილის სიმწვავის 50%-ით შემცირება შეძლო პაციენტთა 64%-ში, 58%-ში კი ტკივილი საერთოდ გაქრა.

პლასტმასისგან წყალს ბაქტერიებით გაწმენდენ

ბაქტერიები ბუნებრივი გზით ჯგუფდებიან, ეწებებიან ზედაპირებს და წარმოქმნიან ნივთიერებას, სახელწოდებით – „ბიოფენა“. სწავლულებს ჰონგ-კონგის უნივერსიტეტიდან, სურთ გამოიყენონ ბაქტერიების ეს თვისება ლენტისებური მიკრობული ქსელის შესაქმნელად, რომელიც დაეუფლება და გადაამუშავებს მიკროპლასტიკის ნაწილაკებს დაბინძურებულ წყლებში. ექსპერიმენტული პროექტი ჯერ კიდევ დასახვეწია, თუმცა მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი მეთოდი პლასტმასთან ბრძოლაში აუცილებლად გაამართლებს. მეთოდის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ის არის, რომ დაბინძურებას ბუნებრივი მიკროორგანიზმებით აღმოფხვრიან, რაც უსაფრთხო იქნება გარემოსთვის. მიკროპლასტმასი წყალში პროდუქტების პაკეტების, ბოთლებისა და სხვა საყოფაცხოვრებო საგნების ხრწნის შედეგად ხვდება. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მონაცემებით, 2018 წელს, მიკროპლასტმასი ზღვის 114-ზე მეტი სახეობის ორგანიზმებს აღმოუჩინეს. ასევე, ის არის მარილში, სალათის ფურცლებში, ვაშლსა და კვების სხვა პროდუქტებში, რასაც ადამიანი მოიხმარს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.